ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—1307

# საბჭოთა ხელოვნება

1979 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუძღვნი ქართველი ფილოსოფოსის
სერგი დანელიას ხსოვნას

ვალერიან კანდელაკი

# სოკრატე

ერთმოქმედებიანი კომედია ფილოსოფოსის ცხოვრებიდან

მოქმედი პირები:

სოკრატე
ზედამხედველი
ალფა
სიმონ ცინიკოსი
ქსანტიპა
კრიტონი
ბრისეიდა
ალკიბიადე
ბაკქანალები

საპყრობილის მიედანზე — დესმოტირიონი — ქვის დილეგი დგას, სოკრატეზე ოდნავ დაბალი, ერთურდულიანი კარით და გისოსიანი სარკმლით.

სარკმლის წინ, ქვის გრძელ სკამზე საპყრობილის ზედამხედველს სუფრა გაუშლია, ილუკმება, რაღაც სითხეს ზედ ჯამით წრუპავს. მისი თვალ-ყურიც იქით ჰქრის, საიდანაც ხალხის სუნთქვა და მღელვარე გუგუნი დროდადრო მოისმის. ფიქრში გართული და შემართებული შემოდის ალფა.

ზედამხედველი. მზის ამოსვლამდე მოხვედი და გადაიკარგე კიდევაც, როდის შევიტყო, ვინ ხარ და სად დაეხეტები.

ალფა. სასამართლოში ვიყავი.

ზედამხედველი. სხვის საქმეში ჩაგიყვია ეგ ნორჩი ცხვირი, დილეგს მიხედე.

ალფა. დილეგი დავასუფთავე, როცა თქვენ სასამართლოს უსმენდით.

ზედამხედველი. გაიარე, ახლა გამოიარე. ბუქნა!.. კარგია, სად დევს წმიდა ომფალოსი? დედამიწის ჭიპი!..

ალფა. იქ, სადაც სოკრატეს ასამართლებენ.

ზედამხედველი. (სხვა ტონით) მერე?

ალფა. მერე იქ გადაინაცვლებს, სადაც სოკრატეს დასჯიან.

ზედამხედველი. ესე იგი, დედამიწის ჭიპზე ვზივართ?

ალფა. ზედ ჭიპზე ზიხართ.

ზედამხედველი. მერე?

ალფა. (ნიშნის მოგებით). დედამიწა დამრგვალდება.

ზედამხედველი. დამრგვალდება?...

ალფა. დამრგვალდება.

ზედამხედველი. ვისი შვილი ხარ?

ალფა. დედაჩემს ჰკითხეთ.

ზედამხედველი. (მოთმინებით) ფაფუკი სახე გაქვს.

ალფა. მამაჩემს ვგევარ.

ზედამხედველი. მამაშენს?.. (სხვა ტონით) დამიყაჭე ვისი შვილი ხარ!.. ათენას სახელს ვფიცავ, კრინტსაც არ დავძრავ. კარგად შემომხედე, ჩემს თავზე წისქვილი ბრუნავს, ბრუნავს, ბრუნავს თუ არა?

ალფა. ბრუნავს.

ზედამხედველი. დამიყაჭე, ვისი შვილი ხარ!

ალფა. იქნებ, მამა ვარ, ან კიდევ... კრეზი!

ზედამხედველი. ქვეყანა ჯერ ისე არ გათახსირებულა, რომ შენს ასაკში კრეზის ფულებით გამივსონ ჯიბე. იქნებ, ჯაშუშის ჯაშუში ხარ?..

ალფა. თუ შემომთავაზეს, ყურადღებას არ მოგაკლებთ.

ზედამხედველი. ესე იგი, არც მთლად ვირისთავი ხარ?..

ალფა. მთლად ვირისთავი ატიკაში ვირსაც არ აბია.

ზედამხედველი. ეჰეე, ვგონებ, პატიოსანი სახე გავს, თუ საკუთრივ შენი სახეა და არა ნიღაბი.

ალფა. ზუსტად, რასაც ხედავთ, სულ ჩემი სახეა, პირველშობილი.

ზედამხედველი. ისემც ბებია გიცხონდება.

ალფა. ბოდიშს ვიხდი.

ზედამხედველი. ბოდიშიც ის ნიღაბია, ყველა ღრიჭოში რომ შეძვრება, ვიღაც მფარველის ხელით მოხვედი. მე, ვიდრე დილეგის კლიტეს მენდობოდნენ, წვიმაში, თქეშში, ატიკის გზაჯვარედინებზე იმ ჩვენს გაწუწკებულ გლეხობას დავდევდი, რომ უცხოეთში ლელვი არ გაეყიდათ. პატრიოტული სული არა აქვთ; იქ ჰყიდიან, სადაც მეტ გროშს აძლევენ, ლელვის კალათებთან უნდა დახოცო ყველა. კაცებსა ჰგვანან, ღორები არიან. ამათ სოკრატე დასაჯეს.

ალფა. როგორ თუ დასაჯეს?!

ზედამხედველი. დასჯიან, რადგან მთელი ცხოვრება უნიღბოდ დადის. ფეხშიშველა, ზამთარში ტოგაც კი არ ღირსებია, დიახ, ერთადერთი უნიღბო კაცი, რომელსაც მუდამ საკუთარი სახე აქვს, სოკრატე არის. (სხვა ტონით) ჩემი ცოლი ადამიანს ჰგავს, როცა სძინავს, მაგრამ როგორც კი თვალს გაახელეს, გიჟის ნიღაბს აიფარებს და ისეთ რამეებს მთხოვს, რაც მე არა მაქვს. როგორ

მინდა მაშინ საპყრობილეში მისი ჩაგდება, რომ სულ თმიანად ავაგლიჯო გიჟის ნიღაბი. ესე იგი, ნიღბის აგლეჯა დიადი ხელოვნება; ამ სიამოვნების გრძნობა თუ არა გაქვს, დროზე მოუსვი, უამისოდ ხაბაზობა სჯობს... საღამომდე რომ ვიყბედო, ის მაინც მახსოვს, ყველაზე უშიშარი კაცი მთელ ქვეყანაზე სოკრატე არის. უშიშარი!...

ა ლ ფ ა. სოკრატეს მოწაფე ხართ?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. არა, როცა შენზე დიდი ვიყავი, იქნებ შენი ხნის, სოკრატეს ვჯაშუშობდი. მოსმენა-დასმენაში ზოგი რამ მეც ვისწავლე.

ა ლ ფ ა. მხეცობაა!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ყმაწვილო, მხეცებს იმას ნუ დააბრალებთ, რაც თავის დღეში ფიქრადაც არ მოსვლიათ. ერთსახეობის ცხოველთა შორის ერთმანეთს მხოლოდ კაცები ასმენენ.

(სუფრის ნარჩენებს სკამის უკან გადამალავს).

ა ლ ფ ა. ამდენი სიმართლე რისთვის გჭირდებათ?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ერთი სიტყვაც არ დამცდენია. ასეც ხდება, ერთფეროვან ნიღაბს მოიშორებ და ჭრელს აიფარებ. შეშინდი?

ა ლ ფ ა. არა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ისემც ბებია გიცხონდება.

ა ლ ფ ა. რას გადაეკიდეთ ბებიაჩემს?!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. უკეთესი ბადიში ეკუთვნოდა. შიშის გრძნობა მანამ არ დაგეკარგება, სანამ მაგ მხრებზე თავი გაბია; სწორედ მოიქცა ღმერთი, როცა მეტყველების უნარი წაართვა მხეცებს: ერთსახეობის ყველა ცხოველი თანხმობით ცხოვრობს. ენა! — უბედური ენა. რას აშავებს ახლა სოკრატე? არაფერს, გარდა იმისა, რომ პირში ენას ატრიალებს. დილით თუ ორას ოთხმოცმა დამნაშავედ ცნო, ახლა უფრო მეტი სიკვდილს მიუსჯის.

ა ლ ფ ა. უნიღბოდ თუ ლაპარაკობს?..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. უნიღბო სიტყვას ერთი მოგითმენს.

ა ლ ფ ა. ჭეშმარიტს თუ ამბობს?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მით უარესი სოკრატესათვის, გონიერია ერთი, მრავალს ვნებები აქვს. გონება სადღაც ტვინთან დევს, სიღრმეში სძინავს, გარედან ძვლის ქერქი ფარავს. ვნებები თონთხლოა, სულ ქვემოთ არის, კუჭთან. სახადივით გადამდებია და, როცა კაცები ერთად სხედან, ფიქრის მაგიერ კბილებს აკრაჭუნებენ. ხანჯალივით ტრიალებს ვნება, მოსამართლეებს აგიჟებს, სასიკვდილო ცერცვს ჩაჰყრიან.

ა ლ ფ ა. არა, ბრძენს ასე იოლად ვერ განწირავენ.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სწორედ ამიტომ მოკლავენ, აბა, რეგვენს ხელს არავინ ჰკიდებს.

ა ლ ფ ა. რა ვიქნებით უსოკრატოდ?..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ჩემს გამოცდას მოეშვი, წადი და იმაზე ივარჯიშე, თუ როგორ მიაწოდო შხამით სავსე ფიალა.

ა ლ ფ ა. არა!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. თუ გადაუწყვიტეს?

ა ლ ფ ა. შენ მიაწოდებ.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. იმას გააკეთებ, რასაც გიბრძანებ.

ა ლ ფ ა. შხამის მიწოდება შენ გევალება, წესები ვიცი.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. დილეგში ჩაგსვამ!

ა ლ ფ ა. თუ ასე ძალიან გიყვარს, რატომ ჯაშუშობდი?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მოვალეობა!.. მოვალეობა...

ა ლ ფ ა. სოკრატე?!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მოჰყავთ!..

(თერთმეტი დარაჯის ნაბიჯების ხმა მოისმის).

### შემოდის სოკრატე

(ხელში ცალი სანდალი უჭირავს, შემცივნებული, ტახტზე ჩამოჯდება).

ს ო კ რ ა ტ ე. კაცებო, თქვენ ხართ?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ჩვენ ვართ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. დედაკაცია კანონიერების მფარველი ღმერთი და დედაკაცებს ღვთის წყალობით ხმის უფლება წართმეული აქვთ. მაშასადამე, სამართალი თავდაყირა დგას... ქვა მომაწოდეთ, [illegible] ჩაქუჩი სანდალში ლურსმანმა ამოჰყო თავი, სწორედ მაშინ, თავს რომ ვიცავდი — ქუსლში შემერჭო, ამ ლურსმანის ბოლმა მოსამართლეებს დავატეხე, ალბათ, გესმოდათ მათი ხროტინი. ერთ კუთხეში მივაქუჩე, ბრალი დავდე, გავასამართლე.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. იმათ რა მოითხოვეს?

ს ო კ რ ა ტ ე. სიკვდილით დასჯა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. შენ რა უპასუხე?

ს ო კ რ ა ტ ე. უფასო სადილი მომისაჯეთ-მეთქი, იმ შენობაში, სადაც საბერძნეთის ყველაზე ღირსეული შვილები სახელმწიფოს ხარჯზე მიირთმევენ.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სოკრატე, ისინი სიკვდილით გემუქრებიან, შენ უფასო სადილს თხოულობ, რატომ გააგიჟე ამდენი კაცი?...

ს ო კ რ ა ტ ე. უფასოდ ვასწავლიდი, სამ ომში სამივეჯერ უფასოდ ვიცავდი მშობლიურ მიწას, ჯილდოზე უარი ვთქვი, — ჩემს სარდალს, ჩემს უღირს მოწაფეს ალკიბიადეს დავუთმე იგი. ადამიანო, შეიცან თავი შენი! ესეც უფასოდ ვთქვი. უმეცარს, ფუქსავატს, წამგლეჯს მთელი სიცოცხლე უფასოდ ძილს ვუფრთხობდი. აბა, ვილას ეკუთვნის უფასო სადილი, თუ არა მე — საბერძნეთის პირველ ბრძენს, ხომ შეამოწმეს, პირველი ბრძენი ვარ, რა უბედურები ყოფილან სხვები, თვითონ განსაჯეთ.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მაპატიეთო! ეს ერთი სიტყვა და, ისინიც გაპატიებდნენ.

ს ო კ რ ა ტ ე. მერე, ის რომ ეკითხათ. — სოკრატე, რა დანაშაული გაპატიოთო, — რა მეპასუხნა? მე ხომ არ ვიცი, რა უნდა მაპატიონ.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. რაღაც მოგეჩმახა.

ს ო კ რ ა ტ ე. როდის მომიჩმახავს?!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. დამშვიდდებოდნენ. როცა ერთი ჩმახავს, სხვები ჩუმად არიან.

ს ო კ რ ა ტ ე. სანამდის? სანამდის-მეთქი, კაცო, ერთმა ჩმახოს და სხვებმა იყუჩონ. ბოლოს და ბოლოს, თევზები ხომ არა ხართმეთქი, შევეკითხებოდი. თავიდან დაიწყებოდა დავიდარაბა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სიკვდილს ეურჩები, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ფიქრობ, დამსჯიან?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. თუ არ დაგსჯიან, რაღასთვის გასამართლებენ?

ს ო კ რ ა ტ ე. ჭაბუკო, ნემსი და ძაფი მომაწოდე.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მე რა ჭაბუკი ვარ, მალე პაპა ვიქნები.

ს ო კ რ ა ტ ე. სიჭაბუკე წლოვანებით როდი რიგდება. აი ეს ყმაწვილი, საკუთარი ლამაზი სახით, მოხუცსა ჰგავს.

ა ლ ფ ა. ძაფს მე გავუყრი.

ს ო კ რ ა ტ ე. მე თვითონ... ხედავთ, რა რიგიანად გავცხარდი, ძონძი-კალთა შემომეფლითა, სასტიკად დავიცავი აზრის ღირსება.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. რა ღირსებაო?

ს ო კ რ ა ტ ე. ადამიანის ღირსება!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. აბა რა საჭიროა, როცა ასეთი ღირსება ადამიანებს ჯერ ფიქრადაც არ მოსვლიათ.

ს ო კ რ ა ტ ე. (გატაცებით). ოო, კაცო, ვაჟკაცო, უღირსნი კაცნი ღვთიური კანონებით თავის დაცვას როდი ცდილობენ — მსაჯულებს ევედრებიან. ასე ჰგონიათ, შერცხვენილი სიცოცხლით უკვდავებას მოიპოვებენ. ბრალდებულის ტრიბუნა რიგიანად გამოვიყენე,— ადამიანო, შეიცან თავი შენი! ღირსების ჰიმნი წეროებივით აფრინდა მაღლა, ზეცაში.

(უსიტყვოდ, იმედიან კილოზე აღიღინდება).

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სისულელეა, სისულელისთვის თავს რომ იღუპავ, ვისი გულისთვის? გდევნიან, გსჯიან. რამეს რომ გაძლევდნენ, კიდევ-ჰო, ან მდიდარი იყო და უსაქმობით ყვიროდე, მესმის. „ადამიანო!...“ რაო, რა ჰქენო?

ა ლ ფ ა. „შეიცან თავი შენი!“

ზედამხედველი. ვისაც ქარიანება შეიცნობს, შენ რას აძალებ? ქვეყანას რა დაღუპავს, აგერ საპყრობილე გვაქვს.

სოკრატე. (ალფას და ზედამხედველს შეათვალიერებს, სიმღერას შეწყვეტს)

კაცნო, ჩემი დილეგის დარაჯები სადღა არიან, ასე უპატრონოდ როგორ დაგვყარეს?!..

ზედამხედველი. არა, სოკრატე, დარაჯები ადგილებზე გახლავან, ეს ჭაბუკი ჩემი თანაშემწეა, თუმცა ხეირიანად არც კი იცის მედილეგედ რამ მოიყვანა.

სოკრატე. ხეირიანად ვინ რა იცის. მეგონა, უპატრონოდ დაგდებულები, კვლავ იმ კითხვა-პასუხით ვერთობოდით, მოედანზე რომ დამჩემდა.

ზედამხედველი. ყველაფერი თავის რიგზეა. ღმერთებმა გვაშორონ და, თუ გაჭირდა, შენთვის სპილენძის ბორკილები მაქვს, შხამის ფიალაც დავაპრიალე. საპყრობილის ზედამხედველი ვარ, შეთავსებით ჯალათი.

სოკრატე. აბა კაი დროს გავატარებთ, ძველი ზედამხედველი იყო მუნჯი, ქვის თავიანი, რატომ გააგდეს?

ზედამხედველი. ჰეტერებთან გაგზავნეს.

სოკრატე. ლამაზმანების ზედამხედველად, დიდებულია, უარს არ ვიტყოდი. (ალფას) შენ, ყმაწვილო?... ტყუილა წითლდები, იქაურობას არ გენდობიან. მე გისოსიდან ანაკრეონტსაც შევუმღერებდი.

მეწამული ბურთი მტყორცნა
ოქროსთმება ეროსმა
და მიმიხმო სალაღობოდ
ცისთვალება ასულთან.
გოგომ ზიზღით შემოსცინა
ჩემს ჭაღარას ანაზდად,
განაზდა და სხვას შეჰხედა
ლესბოსელმა ლამაზმა.

ზედამხედველი. თურმე რა ადვილად შეგეძლო არტისტი ყოფილიყავი. არტისტები სახელმწიფოსთან მუდამ თანხმობით ცხოვრობენ.

სოკრატე. პოლიტიკაში გადახედული ყოფილხარ, ზედამხედველო.

ზედამხედველი. საგანგებოდ შემარჩიეს, ზედამხედველთა შორის ყველაზე მცოდნე.

სოკრატე. მცოდნე?!.. ინებეთ ნემსი, ვეძიოთ ის, რაც არ ვიცით.

ალფა. რაც არ ვიცით?!.

სოკრატე. აბა, „რაც ვიცით“, ჩვენს ხელთ არის. მაინც რა იცით?

ზედამხედველი. (ხალისით) ყველა ვიცი, ვის რა ბორკილი გავუყარო, რა დროს ვაჭამო, რა დროს დავაძინო, მერე გავაღვიძო, მზის სინათლე რა დროს ვაჩვენო და, ბოლოს, შხამით სავსე ფიალა რა წესით შევასვა.

სოკრატე. შხამით სავსეო, რა წესით ასმევ?

ზედამხედველი. როცა მხურვალე მზე ზღვის ზედაპირზე დაწვება, სწორედ იმ დროს, სიკვდილმისჯილს ლაპარაკს ვუკრძალავ, რადგან ყოველი ზედმეტი სიტყვა შხამს ძალას უკარგავს, ორი-სამი ჯერი რატომ შევასვა, თუ დამუნჯებულს ის ერთიც ჰყოფნის.

სოკრატე. ბრძენი ყოფილხარ.

ზედამხედველი. შხამი სახელმწიფოს ძვირად უღირს. მომჭირნეობას ვიცავ, დანაზოგის ნახევარს ფულად მაძლევენ, ოჯახსაც ჰყოფნის, ერთი სიტყვით, ჩემს ხელობას ასო-ასო კანონებით ვასრულებ.

სოკრატე. კანონებით თუ ასრულებ, ბარემ ისიც თქვი, რა არის კანონი.

ზედამხედველი. კაცის დასასჯელი წესები არის კანონი.

სოკრატე. კაცის გამართლების წესებს რაღა ვუწოდოთ, უკანონობა?

ზედამხედველი. სოკრატე, ყველა ღმერთს ვფიცავ, თითსტარივით აბრუნებ კითხვას.

სოკრატე. რომელ ღმერთებს მეფიცები, ზედამხედველო?

ზედამხედველი. ქალაქის ღმერთებს.

სოკრატე. საიდან იცი, რომ ისინი ქალაქის ღმერთები არიან?

ზედამხედველი. ამას რა ცოდნა უნდა, ყველა ამბობს!

სოკრატე. ამიტომ შენც ამბობ, ისინიც ამბობენ, საერთო აზრია და, საერთო აზრს ცოდნას ეძახი?

ზედამხედველი. ჭეშმარიტად!..

სოკრატე. კაცნო, ჩვენ ყველამ რომ ვთქვათ, მზე სოკრატეს ეზოში მოწეული გოგრააო, როგორ ფიქრობ, ამიტომ მზე გოგრა იქნება?

ზედამხედველი. თუ დაადგინეს, რატომაც არა? მზე სოკრატეს ეზოში მოწეული გოგრა იქნება.

ალფა. იქ მოსამართლეები ხმაურობენ.

ზედამხედველი. ხმებს თუ ითვლიან.

სოკრატე. ვთქვათ, ჰელეასტებმა დაადგინეს, სოკრატე ახალგაზრდებს კი არ ზრდიდა — კლავდაო, ამიტომ სოკრატე მკვლელი იქნება?

ზედამხედველი. ჭეშმარიტად, მკვლელი!..

ალფა. (ყვირილით) გაჩუმდით!..

ზედამხედველი. როგორ მიბედავ, ლაწირაკო!

ალფა. ვინც ამას დაადგენს, ყველა, განურჩევლად, ბრიყვები ხართ!...

ზედამხედველი. ქალაქის ღმერთებსა ვფიცავ, გინდ პერიკლე დიდის ბადიში იყო, სულს გაგაფრთხობინებ!..

(მახვილს ამართავს)

ალფა. ბრიყვები!..

(ორთაბრძოლა გაიმართება)

სოკრატე. ჩააგეთ!..

(მსხვილი ჯოხი მოლანდა, მოზავედ ჩადგება)

ხელი არ გაანძრიოთ, ძველი ჰოპლიტი ვარ, მე უკეთ ვიცი ხმლის მოქნევა.

ზედამხედველი. გაგაფრთხობინებ!...

ალფა. ბრიყვები!.. ბაიყუშები!..

(მოქნეულ მახვილებს სოკრატე თავის ჯოხს ახვედრებს)

სოკრატე. მშვიდად, ყმაწვილო, და შენც, უფროსო, თორემ ის ენაწუნკალი კომედიოგრაფი შემოგვესწრება, კვლავ დამაბრალებს, — სოკრატემ ახალგაზრდებს ჭკუა უღრძო, მოხუცებზე აამხედრაო.

ზედამხედველი. სულს გაგაფრთხობინებ!..

სოკრატე. (შთაგონებით) ჩააგეთ! ბოლოს და ბოლოს საპყრობილის მოედანზე ვართ!.. (მშვიდობას მიაღწია) ო, რა ბედნიერი ვარ, ადამიანები ჭეშმარიტებისთვის თავსა სწირავენ, სად შევჩერდით, ჩემო ჯალათო?

ზედამხედველი (ალფას) შენ, ჰეი, გააღე დილეგის კარი, შიგ შეუძახე!.. აპიოსი ვარ, ჯალათს მეძახი.

სოკრატე. კაცო აპიოს, შენგან შევიტყვე — ჯალათი ვარო, მგონი არ ვცდები.

ალფა. აპიოს, სხვებს თუ ჰგლეჯ ნიღაბს, ისიც დაითმინე. როცა შენ გგლეჯენ.

ზედამხედველი. მე ნიღაბი აღარა მაქვს, ახლა საკუთარ ტყავსა მგლეჯთ, მეწვის და მტკივა.

სოკრატე. არ შეუშინდე, სინდისია ტკივილის გრძნობა, ხელისგულები მაჩვენე, შენი ნიღაბი — ჩემიც ზედვეა, ხედავ?

ზედამხედველი. ხელისგულზე?!

სოკრატე. (სხაპასხუპით) დედამიწა შეშის ნაფოტივით წყალზე ცურავს!...

ზედამხედველი. არა, არ გამიგონია.

სოკრატე. ცეცხლში იწვისო?

ზედამხედველი. არა...

სოკრატე. ორთქლში იხარშებაო?

ზედამხედველი. არა, არ ვიცი.

სოკრატე. ჰაერში ჰკიდიაო?

ზედამხედველი. არც ეს გამიგონია.

სოკრატე. უმცირესი ატომებისგან შედგებაო.

ზედამხედველი. პირველად მესმის.

სოკრატე. მთავარია რიცხვი.

ზედამხედველი. რიცხვი?.

სოკრატე. დედამიწას ვარსკვლავებით მოჭედილი კედელი აკრავსო?

ზედამხედველი. არა, არ ვიცი.

სოკრატე. ლოგოსმა შექმნაო?

ზედამხედველი. მაბითურებ?!

სოკრატე. აპოლ, აზრადაც არ მოგდის, რომ სახელგანთქმულ ბრძენ-კაცთა აღმოჩენები ჩამოგითვალე: მოწესრიგებული კოსმოსი აღიარეს, ზეცას უჭვრეტენ, ერთხელაც რიგიანად მიწაზე არ დაუხედიათ. კაცი პირუტყვად იქცა, რაღა ვიქნებით, თუ კვლავ ასე გაგრძელდა, ეჰეე, აპოლ, კაცი პირუტყვად იქცა!..

ზედამხედველი. ეს იმათ ჰკითხე, ვინც სახელმწიფოს სამსახურშია.

სოკრატე. შენ ხარ სახელმწიფოს პირველი კაცი, შენ უნდა მომკლა.

ზედამხედველი. მომეშვი!.. (დაყვავებით) სოკრატე, სხვის საქმეში რად გაეჩარე? მოქანდაკე ხარ, მოქანდაკე იყო მამაშენი, მიგეხედა ხელობისათვის, გეძერწა! ..

სოკრატე. ცოცხალ ქანდაკებებს ვაკეთებ, კაცო. თუ დაგარწმუნე, რომ შენი ნეკნები განსხვავდება ძროხის ნეკნისგან, ქანდაკებაც მზად არის, ჩემს ხელობას როდი ვღალატობ.

ზედამხედველი. ლექსები გეთხზა, გოგო-ბიჭებსაც გაახარებდი, უტკივარი თავი რად აიტკივე. (სხვა ტონით) არა, კაცმა რომ თქვას, როდის გაქრება ეს შიშის გრძნობა?

სოკრატე. (შეანჯღრევს) შეიცან თავი, გახსენ გონება, ნებისყოფა ხატად დაისვი, აზეიმე კეთილი ნება, შიშის გრძნობა უმალ გაქრება.

ზედამხედველი. ცოლ-შვილი შიმშილით ამოიწყდება!...

სოკრატე. ჩემზე ღარიბი ხარ?

ზედამხედველი. შენზე ღარიბი ათენაში მკვდარიც კი არ მოიძებნება. დათვის ღონე გქონია, სოკრატე, კისრის ძვლებმა გაიწკაპუნა. სასამართლო მოდის!.. .ფეხზე დადექით მაინც.

(თერთმეტი დარაჯის ნაბიჯების ხმა მოისმა, გამოჩნდა სიმონ ცინიკოსი, ხუთასთა თავმჯდომარე).

სიმონ ცინიკოსი. ბორკილები შემოიტანეთ!...

(ზედამხედველი და ალფა გადიან. სიმონ ცინიკოსმა გრაგნილი გაშალა, შიგ არც კი ჩახედავს) განაჩენი!...

სოკრატე. განაჩენი საპყრობილეში?.. ამას ხომ ხუთას ერთი ნაფიცი მსაჯულის თანდასწრებით კითხულობენ, საზეიმოდ, უსაქმურთა გასაგონად.

სიმონ ცინიკოსი. მე დამავალეს საპყრობილეში ის წაგიკითხო, რასაც საქვეყნოდ სხვებს უცხადებენ. ჰელეასტებს შენთან მესამედ შეხვედრა არ სურთ, რადგან მათ ღირსებას მესამედაც გაამასხარავებ.

სოკრატე. სინდისის გრძნობამ თუ გაიღვიძა?..

სიმონ ცინიკოსი. არა, პატივმოყვარეობა აწუხებთ, დამპლებს.

სოკრატე. სიმონ ცინიკოსო, შენ, ჩემი მტერი, უდიერად იხსენებ ჩემს მტრებს.

სიმონ ცინიკოსი. ჩვენ, ყველანი, ერთმანეთის მტრობით ვცოცხლობთ და ვჯანსაღდებით მაღალი ცის ქვეშ.

სოკრატე. განაჩენი წამიკითხე.

სიმონ ცინიკოსი. აბა, რა წაგიკითხო, როცა ყველა აბზაცი ჩემი დაწერილია, ყოველი სტრიქონი ზეპირად მახსოვს, გრაგნილის ზომაც მიგანიშნებს — საქმის არც ისტორია და არცა დასკვნა შიგ არა სწერია. სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებული ხარ, რომ შენ, ათენელი მოქალაქე, სოკრატე სოფრონისკეს ძე, გმობდი ქალაქის ღმერთებს და სწორი გზიდან გადააცდინე ახალგაზრდობა. ეს ორი ბრალდება ღმერთის გმობა ახალგაზრდობის უგვანო აზრებით აღზრდა, სასამართლომ დაგიდასტურა, გაგამტყუნა და მოგისაჯა.... ო, რა სასტიკად, მაგრამ შენ, ბევრის მცოდნე, ბრძენმა, იქნებ, არცთუ მძიმე სასჯელად მიიჩნიო ეს განაჩენი.

სოკრატე. მაინც რა სასჯელი გადამიწყვიტეთ?

სიმონ ცინიკოსი. სიკვდილი.

სოკრატე. სიკვდილი?!.. სიკვდილი...

სიმონ ცინიკოსი. სიკვდილი შხამით.

სოკრატე. (მის უნებურად) რა ჰქვია იმ შხამს, აღარც კი მახსოვს?

სიმონ ცინიკოსი. ციკუდა.

სოკრატე. ჰო, ციკუდა!.. სულ ერთი ყლუპი.

სიმონ ცინიკოსი. არა, მთელი ფიალა.

სოკრატე. ჰო, როგორც ნადიმზე... (სხვა ტონით) მერე, სად არის ის ჩემი გადაცდენილი ახალგაზრდობა? ერთი კაცი მაინც მაჩვენეთ.

სიმონ ცინიკოსი. იქნებ, გამამტყუნებელ განაჩენში ისიც ჩაგვეწერა, სოკრატეს წყალობით რომ ადამიანი საკუთარ მეს ჩაუსაფრდა, თავისთავს იკვლევს, ყოველი კაცი ღვთის ნაწილიაო და არა ძაღლის, და კიდევ რაო, — ყმაწვილს და მოხუცს არა ხორცისთვის, არა ფულისთვის სათნოებას შთააგონებდა.

სოკრატე. დიახ, დიახ, სულ ასო-ასო უნდა ჩაგეწერათ, სულ ასო-ასო.

სიმონ ცინიკოსი. მაშინ სიკვდილსაც ვერ მოგისჯიდით.

სოკრატე. ჰოდა, თქვენც უფასო სადილი მოგესაჯათ იქ, სადაც სახელმწიფოს ყველაზე ღირსეული შვილები სადილობენ.

სიმონ ცინიკოსი. ეს აზრიც იყო: ას სამოცდათერთმეტი მიემხრო უფასო სადილს, სამას ოცდაათმა სიკვდილის ცერცვი ჩაყარა ყუთში.

სოკრატე. რა საბუთით?

სიმონ ცინიკოსი. პირადი შეხედულებით, სხვას მოელოდი?

სოკრატე. სიმონ ცინიკოსო. ამ განაჩენით, ხელში რომ გიჭირავს, მე დავამტკიცე ჭეშმარიტება: უმეცარი უზნეოა და ცოფდება ვითარცა ძაღლი!..

სიმონ ცინიკოსი. სასიკვდილო განაჩენი სწორედ იმ ძაღლების ღმერთმა შთაგვაგონა, რომელსაც მთელი შენი სიცოცხლე ებრძოდი და, ისიც, თავის მხრივ, მინდვრის მგელივით თან უკან გდევდა. მესამე თვალით მეც ამას ვხედავ, ბრძენო სოკრატე.

სოკრატე. შენ რომელი ცერცვი ჩამიგდე, სიმონ?

სიმონ ცინიკოსი. შავი.

სოკრატე. შენ ხომ მესამე თვალი გაბია, სიმონ, შავი ცერცვი რამ მოგაფიქრა?

სიმონ ცინიკოსი. თეთრ ცერცვზე ვფიქრობდი, ხელებმა შავი ცერცვი ჩააგდეს ყუთში.

სოკრატე. აბა, ის მესამე თვალი რაღასთვის გინდა, სიმონ ცინიკოსო?

სიმონ ცინიკოსი. ღმერთის სანაცვლოდ ცოდნა დასვი, ქორ-ვაჭრების მმართველობას ვეფხვის ბოკვერივით წინ დაუსვი მეცნიერება. ამას ხედავს მესამე თვალი.

სოკრატე. ძაღლის ყნოსვა გქონია, სიმონ ცინიკოსო, ადამიანებს ხმა ჩაუწყვიტო, ადვილია, ეცადეთ უკეთესი სამყარო შექმნათ.

სიმონ ცინიკოსი. „შეიცან თავი შენი“ — ეს რაღაა?

სოკრატე. სწორედ ეს არის რაც არის — ერთ დახავსებულ ქვაზე სწერია.

სიმონ ცინიკოსი. მერე, ვერ მოასვენე იგი იმ ქვაზე?! ბოლოს და ბოლოს, რად გვინდა გაპრანჭულად რომ ვლაპარკობთ, ჩვენებურად ვთქვათ. შე კაცო, შეიცან თავი შენიო, რა მოხდება თავი რომ შეიცნონ, ამაზე არ გიფიქრია?

სოკრატე. დღე და ღამ ვფიქრობ, ღვთიურ ღირსებას ეზიაროს ადამიანი.

სიმონ ცინიკოსი. ამბოხებაა!.. კიი, ჯერ აზრის, მერე ხალხის.

სოკრატე. პოლიტიკის გარეშე მეგონა თავი.

(ალფამ და ზედამხედველმა ბორკილები შემოიტანეს)

სიმონ ცინიკოსი. ზედამხედველო, ფიალაში ციკუდა შეამზადე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველი. შხამი?!.

სიმონ ცინიკოსი. რა ზედამხედველი ხარ, ბებერო ვირო, ის თუ არ იცი, რაც ყველამ იცის, სოკრატეს სიკვდილი გადაუწყვიტეს.

ალფა (მთელი ხმით) მამაჩემო!..

სიმონ ცინიკოსი. უპატრონო მოზვერივით რომ არ გებღავლა, ვითომ სხვას ვერაფერს მოიფიქრებდი?...

ალფა. სიკვდილით დასჯიანო, ხუმრობა მეგონა, რა ჩაიდინეთ!...

სიმონ ცინიკოსი. ხმა ჩაიწყვიტე!

(მცირე დუმილი)

სოკრატე. მამა ხარ?!.

სიმონ ცინიკოსი. მამა ვარ.

სოკრატე. შვილი?!.

ალფა. შვილი.

ზედამხედველი. მრისხანე ზევსო!...

სიმონ ცინიკოსი. ესლა მაკლდა, ძველმა სიკოფანტმა გაიკვირვა — კაცი კაცს შხამავს. (განმარტებით) მსგავსი ბრძენი ჯერ არასდროს არ ჩაუსვამთ საპყრობილეში, ფხიზლად იყავი: განათლებული ელადა შფოთავს, ხალხის შვილი ეთხოვება საკუთარ სამწყსოს. მეფეს და მონას, ბრძენსა და რეგვენს შთაგაგონათ თავის შეცნობა. თუ გაგექცა, სოკრატესათვის შემზადებული შხამით ფიალას ბოლო წვეთამდე შენ გამოწრუპავ. (ზედამხედველი გადის) ენას თუ დაძრავ, პასუხიც მზად მაქვს, — ზედამხედველს შვილი მივუჩინე მეთვალყურედ.

სოკრატე. შვილი მედილეგედ, სიმონ ცინიკოსო, რამ მოგაფიქრა? ერთი უთვისტომო ბიჭი მეგონა.

სიმონ ცინიკოსი. შენი გასამართლება დღესასწაულის დასაწყისში განზრახ მოვაწყვე. ვიდრე მოზეიმე ხომალდი დელოსს მიაღწევს და მერე იქიდან შინ დაბრუნდება, როგორც წესი, წმინდა ქალაქში კაცს ვერ დასჯიან.

სოკრატე. ჩემს სიკვდილს მუდამ რაღაცა ელობება.

სიმონ ცინიკოსი. ჩემი შვილისთვის.

სოკრატე. შენი შვილისთვის?..

სიმონ ცინიკოსი. უნდა აღზარდო.

სოკრატე. შენი შვილი?! მე, სოკრატე სოფრონისკეს ძემ, ახალგაზრდობის სულიერი გარყვნისთვის რომ სიკვდილი გადამიწყვიტე!...

სიმონ ცინიკოსი. იმ მოწიწებით გაბარებ, როგორც შვიდი წლის წინათ, ატიკის მეფის კოდროსის შთამომავალმა, ამაყთა შორის უზვიადესმა არისტონმა ჩაგაბარა თავისი სახელოვანი ძე, მკერდგანიერი ბრძენი პლატონი, და გთხოვა, — უწინამძღვრეო. ის პლატონი, შენი დატყვევების შემდეგ საპყრობილის კარებს რომ არ შორდება და, მგონი, ახლაც იქა დგას. შთამომავლობით კოდროსისა და სოლონის ნაშიერს რას შეედრები, მე, ერთი უბირი, საკუთარი ტუტუცობითა და სიმდიდრით გასულდიდებული სიმონი ვარ, სწორედ ისეთი, როგორსაც მიცნობ. ო, მერე რა ზუსტად, შენს ხელისგულზე ნასრეს-ნაგორებს ჰგავს ყოველი კაცი, შენ რომ გიყურებ, არარაობა მგონია თავი.

სოკრატე. არარაობა ქმნის სიმრავლესო, დამშვიდდი, სიმონ.

სიმონ ცინიკოსი. ჰოდა, იმ სიმრავლისაგან რაღაც ერთი ხომ უნდა მერგოს. ვიდრე დელოსიდან მოზეიმე ხომალდი დაბრუნდებოდეს და განაჩენით მოგაკვდინებდნენ, ასწავლე ამ ბიჭს. სხვასთან მთელ წელიწადს, შენთან ეს მცირე დრო მეტ ნაყოფს მისცემს, ვეთანხმები. სოკრატე ასწავლიდაო, იგივეა — ღმერთი მოძღვრავდა.

სოკრატე. სიჭაბუკეში დიდი ანაქსაგორის თხზულებამ ისე ვერ გამაოცა, როგორც შენი უტიფრობა მაოცებს, სიმონ.

სიმონ ცინიკოსი. იმ შორეულში, მომავალს რომ ეძახიან და, კარებს რომ გვიმტვრევს, ეს ბიჭი მომზადებული უნდა შევიდეს. ხედავ, ფართო შუბლი აქვს, დამოძღვრე. რას დამუნჯდი? მიეცი ცოდნა, მოქანდაკე ხარ, მიეცი ფორმა.

სოკრატე. ღვთის გმობა და გარყვნილება?..

სიმონ ცინიკოსი. მზად ვარ ათჯერ გავიმეორო ცხრაჯერ ნათქვამი, შე კაცო, რად გვინდა ე გაპრანჭული სტილი, შინაურულად ვილაპარაკოთ — ახალგაზრდებს შენ კი არ რყვნი — თვალს უხელ, „შეიცან თავი შენი“ საქმედ აქციე. ცოდნა ზნეობად გამოაცხადე. სამაგიეროდ, თავად გარყვნილები, შე კაცო, გარყვნილობისთვის გსჯით: თავად არ ვიცით, რა არის ღმერთი და ღვთის მგმობელად გამოგაცხადეთ. ახლა ხომ ხვდები, რა ურიცხვ მოვლენებს ვხედავ მესამე თვალით. ოლიგარქებსაც უნდოდათ შენი დასჯა, მერე ტირანებს, სახელოსნოებში იმ მყრალ მუშებთან ქადაგებას მოეშვიო, ხელწერილიც კი ჩამოგართვეს, მაგრამ არცერთმა ტირანმა თავისთავზე არ აიღო შენი სიკვდილი, შთამომავლობის საჯიჯგნად თავი არ დასდეს. ჩვენთვის ადვილია ხალხის სახელით...

სოკრატე (შეაწყვეტინებს) ხალხს მოეშვით! სამას ოცდაათ უმეცარს, ქორ-ვაჭარს ხალხს რომ ეძახი, სამას ოცდაათჯერ სამას ოცდაათ ყაჩაღს რას დაარქმევდი?

სიმონ ცინიკოსი. ყაჩაღების ბრბოს.

სოკრატე. სწორედ იმ ყაჩაღების ბრბოს ხელში ჰყავს უიარაღო, საბრალო ხალხი. (სხვა ტონით) რატომ არ მოგეპყარით მეტი სიფრთხილით? როგორც კატის თათებში თაგვი, ხან მოვკვდებოდი, ერთხელაც იყო შევუხტებოდი და ჰაუ, იმ სოროში თავსა ვტუცავდი, თქვენ რომ სიცოცხლეს ეძახით. სოკრატე თაგვი?!. ა, სიმონ ცინიკოსო, გაიცინე, რა გენაღვლება.

სიმონ ცინიკოსი. შე კაცო, ისე იქცევი, ვითომ მეორე სიცოცხლე ჯიბეში გედოს.

სოკრატე. ჯიბე არა მაქვს, თორემ მეორე სიცოცხლეს სულ ცხადად ვხედავ. მოზეიმე ხომალდი დაბრუნდება, ციკუდას შევსვამ და მერე, შორს ამოვყვინთავ, — გამარჯობა შენი, მეც შენთან ვარ, — ვეტყვი მომავალს. ის საცოდავი მელეტოსი, მსგავსი რეგვენი ნუთუ იმ მომავალშიაც სადმე შემხვდება?

სიმონ ცინიკოსი. (ხალისით) აბა, აბა, როგორ იყო რომ შეეკითხე, — არის თუ არა, მელეტოს, კაცი, რომელიც ადამიანურ საქმეებს აღიარებდეს და თვით ადამიანთა არსებობას კი უარყოფდესო. ჭირის ოფლმა დაასხა, დამთხვეული, ვერცხლის ტომარა, ძლივს დაითანხმე. მერე ის ანიტე, ის უბედური, მოწმეების მოქრთამვა კაი ძალი ფული დაუჯდა. მსგავსი პროცესი არ ახსოვს ქალაქს, ნებაზე მიგიშვი, უმეცრების ბაზარი მოაწყვე სწორედ, ბრალმდებლები ბრალდებულის სკამებზე დასვი, მსაჯულებიც კაი გემოზე ათამაშე. ბრიყვების ჯოგი, ამდენი ერთად, ზევსს გეფიცები, პირველად ვნახე, და ბოლოს რომ თქვი, — სახელმწიფოს მცოდნე კაცები უნდა მართავდნენო, — ძროხებივით აზმუვლდნენ, მერე გაცოფდნენ, კარგად მიგიშვი.

სოკრატე. მადლობელი ვარ შენი.

სიმონ ცინიკოსი. თავადაც მადლობელი ვარ, დამპლები მზის სინათლეზე დადე გულაღმა, რომ შემეძლოს, დელოსიდან ხომალდის დაბრუნებამდე კვლავ ათჯერ გულს ვიოხებდი. ერთი სიტყვით, არ დაიდარდო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, სულ რამდენიმე წელიწადი ჩამოგაჭერით. ფილოსოფოსები, შე კაცო, დაბადებიდან სიკვდილისათვის ემზადებიან, ამასაც გაუძლებ. (იქ მყოფთ) ბორკილები გაუყარეთ! (სოკრატეს) ეს ჩემი შვილი ცოტა თავნებად იზრდება, კარგად მოთოკე, იქნებ ისე სჯობს, როგორც ისურვა. ძაღლის ყნოსვა მაქვს. შეახვედრე.

სოკრატე. (თავს მოიყრუებს) ვის შევახვედრო?

სიმონ ცინიკოსი. მომავალს!.. სულ სხვა ღრუბლები ისახება მაღლა ზეცაზე.

სოკრატე. მანამდე, სიმონ ცინიკოსო, ფიქრობ, ეს დროება თაფლის კვერივით შეგერგება?

სიმონ ცინიკოსი. არ მღალატობს მესამე თვალი.

სოკრატე. უხერხულ ადგილზე გაქვს ის მესამე თვალი, როცა ზიხარ, ვერაფერს ხედავ.

სიმონ ცინიკოსი. კოჭზე დაადეთ!... (ჩაულაპარაკებს) გაქცევას თუ განიზრახავ, ხელს არ შეგიშლი.

(გადის)

ზედამხედველი (მცირე დუმილის შემდეგ) ეს არამზადა მამაშენია?

ალფა. რა ვქნა, რომ მამაჩემია.

ზედამხედველი. რაღა უნდა ქნა.

ალფა. არა, ბორკილი არა!

სოკრატე. შენი სახელი?

ალფა. ალფა.

სოკრატე. მომეშველეთ, წინასწარ რომ მცოდნოდა, ბორკილებს გამიყრიანო, გიმნასიონში ღიპს დავიკლებდი. გაქცევა გულში ფიქრადაც რომ არ გავივლო, კოჭებზე კარგად...

ზედამხედველი. საგანგებოდ შევარჩიე. მსუბუქი, თეთრი, სამეფო ბორკილებია, ხომ არ ჩხაკუნებს?

სოკრატე (ბორკილებზე დაიხედავს) მონგრეულ ფეხებს, ვგონებ, დაშვენდა. თბილია.

ზედამხედველი. ხელში ვათბობდი.

სოკრატე. მადლობელი ვარ. აღარც კი მოჩანს. ჩემმა მეგობრებმა რატომ ვერ მოახერხეს მოსამართლეების მოქრთამვა?

ზედამხედველი. შენს მტრებს ბევრი ფული აქვთ, კაცის გამართლება ძვირად ფასობს, დასჯა იაფია.

სოკრატე. ვიღაცეები ჩამჩურჩულებენ, გაიქეციო.

ზედამხედველი. ის სატანა იყო, მე ყველაფერი მესმოდა, სოკრატე.

სოკრატე. მაშასადამე, სამუშაო დღე დამთავრდა.
(ქვის სკამზე წამოწვება).

ზედამხედველი. დარაჯები იცვლებიან, არ შეშინდეთ, ზედამხედველი უცვლელია.
(გადის)

სოკრატე. მგონი, გათენდა კიდეც. ბევრი ფანდი აქვს კანონს, ჩემს გაქცევას ისინიც ნატრობენ, ვინც მომისაჯა.

ალფა. დიახ, თუ გაიქცევით, თავს დამნაშავედ ცნობთ.

სოკრატე. სჯობს მართალი ვიყო, ვიდრე ცოცხალი.

ალფა. სიკვდილზე დიდი უბედურება რა შეიძლება?

სოკრატე. უმეცრება! საძრახისი უმეცრებაა ფიქრობდე, თითქოს, იცი ის, რაც არ იცი. მაშასადამე, ჩვენ ხომ არ ვიცით რა არის სიკვდილი. (ძილღვიძილში) მკვდრები ებრძვიან ცოცხლებს.

ალფა. მკვდრები — ცოცხლებს?!..

სოკრატე. უსამართლოდ თუ მიიცვალენ, საოცარი ბრძოლა იციან.

ალფა. ძილი ნებისა. (გასვლას დააპირებს, ზედამხედველი გამოჩნდება) ჩაეძინა, ჩუმად...

ზედამხედველი. ღია ცის ქვეშ ტუსაღის დატოვება არ შეიძლება, დილეგში ჩაამწყვდიე.

ალფა. ეს სოკრატეა.

ზედამხედველი. მაგრამ ტუსაღია, სიკვდილმისჯილი! ათასი მტერი ჰყავს.

ალფა. (ნიშნის მოგებით) სამაგიეროდ, ორი ათასი მეგობარი ჰყავს.

ზედამხედველი. მედილეგე ხარ!..

ალფა. მამაჩემის შვილი ვარ.

ზედამხედველი. ო, ის არამზადა...
(გადის)

სოკრატე. (სხარტად წამოჯდება) ალფა!..

ალფა. გისმენთ.

სოკრატე. ვერაფერს შეგასწავლი. ახალი გარემოების შეგირდები ვართ, ორივემ ერთად სულ სხვა ქვეყანა აღმოვაჩინეთ. „ყოველი ჩვენგანი საპყრობილეშია გამოკეტილი“ — აქამდე ფილოსოფიური ფრაზა მეგონა. ჯალათი მყავს, ესე იგი, მეფე ვარ, სახელმწიფოს ქიპზე ვზივარ!

ალფა. (აღფრთოვანებით) დიახ, ქიპზე ზიხართ! წმიდა აფროდიტეს სახელსა ვფიცავ, გუშინ თქვენს შემოსვლამდე, ზედამხედველს ვეუბნებოდი, — დედამიწის ქიპიც იქ არის, სადაც სოკრატეს დასჯიან-მეთქი.

სოკრატე. წმინდა ომფალოსი სხვაა, ჩვენ სახელმწიფოს ქიპზე ვსხედვართ.

ალფა. დედამიწა დამრგვალდება.

სოკრატე. იქნებ მრგვალია.
(წამოწვება)

ალფა. ჯერ არა.

სოკრატე. მრგვალია, ალფა, უპატრონოდ გაგდებული სადღაც სივრცეში, წრეში ბრუნავს — წრეში ბრუნავს ყოვ[illegible]ცი. ბავშვები მენატრება, ჩემი პატარები, ჩემი სოფრონის[illegible]

ალფა. მოგიყვანოთ?

სოკრატე. აბა რა საჩქაროა, ბორკილგაყრილი მამა...

ალფა. ძილი ნებისა.

სოკრატე. (აღგზნებითა და შთაგონებით) შეჩერდი!... სიტყვა ჩემი არის საქმე ჩემი, ჩემი წიგნი და ორქესტრა!... მონგრეულ ფეხებზე შემდგარი ღიპი, სქელი ბეჭები, ვეებერთელა მელოტი თავი, მსხვილი მოკლე ცხვირი, ჭროღა თვალები და ყველა ერთად რაღაც ხუხულა, გაუწრთვნელი ხელით ნაჯღაბნი, არ დამავიწყდეს, გადმობრუნებული დრუნჩი და შიგ გესლიანი ენა, სულსა და გონებას შეუვათანხმე და ზვინად შეკრული წვრილი ფეხებით ბორკილებში შევყავი, რომ ჭკუით ვიყო და შორს არ გავფრინდე. ხედავ!... (შეხტება) ხედავ!. (კვლავ შეხტება) გაიჩხაკუნა!.. ძაღლს გეფიცებით, ხელს არ მიშლის, რა ბორკილები — ჰეტერების ზედამხედველად გამოვდგები, დიონისეს ძმადნაფიც პანად! ო, ალკიბიადე, შე ლოთო, შფოთო, როდის მიწოდე მარსიასი, გავიხსენოთ ჩვენი ნადიმი, კაი ბიჭები ვუსხედით სუფრას (წაუმღერებს, ილეთებს ჩართავს) ხომ კარგად ვცეკვავ, ალფა?

ალფა. კარგად.

სოკრატე. სად ვცეკვავ, ალფა?

ალფა. საპყრობილეში.

სოკრატე. რატომ ვცეკვავ, ალფა?

ალფა. ბოლმა თუ გახრჩობს, სოკრატე.

სოკრატე. რატომ, ალფა?

ალფა. კოჭებზე ბორკილები გაქვს, სოკრატე.

სოკრატე. კიდევ, ალფა?

ალფა. შენი პატარები გელანდება, სოკრატე.

სოკრატე. (გმინვა აღმოხდება, მერე ალფას ჩააშტერდება). გონიერო ალფა, ფიზიკოსები იტყოდნენ, — სოკრატეს საკუთარი ეზო არა აქვს, ამიტომ საპყრობილეში როკავსო, როცა მარჯვენა ფეხს ჰაერში აიქნევს, მარცხენათი მიწაზე დგასო. ბორკილები რომ მოხსნა, თავს მსუბუქად იგრძნობს და უფრო მაღლა შეხტებაო და მერე, უკეთესად ჩაბუქნავსო. ერთხელ აზრადაც არ მოუვათ, დროული კაცი რამ მოიყვანა საპყრობილეში, რატომ გაუყარეს ბორკილები!... (მიწას დაჰყურებს) ზეცას რად უჭვრეტთ, სად იმზირებით პირდაღებული, შეშლილის სახით, როცა შენს ცხვირწინ არის ადამიანი! (ჩამცხრალი ტონით) ალფა, მტრედისფერ ცაზე თუ გსმენია ქექა-ქუხილი?

ალფა. არა, არასდროს.

სოკრატე. როცა მეხთამპყრობელი ცეცხლს აკვესებს, ზესკნელიც ხომ მრისხანებს, ალფა?

ალფა. ო, მერე როგორ.

სოკრატე. უვიც მენავეს, ვიდრე ზღვის რისხვა დაატყდებოდეს, ხომ აფრთხილებს პირქუში ზეცა და ბორეასი?

ალფა. დიახ, აფრთხილებს.

სოკრატე. როცა კაცი კაცს ჰკლავს, რას კითხულობს მკვლელის სახეზე?

ალფა. არაფერს, თვალი თუ არ შეასწარ კაცის მკვლელი არც გეგონებათ.

სოკრატე. ილიმება?..

ალფა. მოწმენდილ ცას ჰგავს.

სოკრატე. სად გინახავს ასეთი კაცი?

ალფა. წელან, სიკვდილი გამოგიცხადა.

სოკრატე. სძულს ჩემი მტრები, კლავს სოკრატეს და გზას უკაფავს სოკრატეს, მაშასადამე, გონიერო ალფა, ადამიანი როდია მარტივი როგორც გარე სამყარო, გონიერი ერთი თავისთავში ჩაიტევს მრავალს.

ალფა. რაც უფრო მცოდნეა, მით უფრო ვერაგია ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ო კ რ ა ტ ე. არა, ალფა, მცოდნე კეთილია და ცოდნა სიკეთე. ის, რასაც შენ ამბობ, მოჩვენებითი სიბრძნეა და უზნეობის სათავეც სწორედ ის არის. დავამთავრე, კეთილო ალფა, გულისყურით თუ მისმენდი და მეხსიერებასაც არ იშურებდი, შენ, მთელი სოკრატე იცი. წადი სახლში, სხვა საქმე შენ აღარა გაქვს.

ა ლ ფ ა. რომ მცემო კიდეც, არ მოგშორდები.

ს ო კ რ ა ტ ე. (თავის ფიქრიდან) ეჰე, სადღაც ასკლეპიოსის მამალი ყივის. როცა განვიკურნები, ასკლეპიოსს შესწირეთ იგი.

ა ლ ფ ა. თქვენ ჯანმრთელი ხართ, სოკრატე!..

ს ო კ რ ა ტ ე. ვიდრე ვცოცხლობ, ავად ვარ, მოვკვდები — განვიკურნები! ძილი ნებისა.

(სასთუმლად მკლავი შემოიდო, მიიძინა, გამოჩნდა ზედამხედველი, ხელში ცარიელი ფიალით)

ა ლ ფ ა. ძვირფასო აპიოს, ყური დამიგდე, საპყრობილედან სოკრატეს გაპარება რა ეღირება?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. დაახლოებით, თუ მთლად არა, იმის ნახევარი ვერცხლი, რაც მამაშენს სალაროში აქვს ჩაკეტილი.

ა ლ ფ ა. ერთი კაცი?!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ეს სოკრატეა, თორმეტი დარაჯი უნდა მოიქრთამოს, შენიანად ცამეტი.

ა ლ ფ ა. ამბობენ, საპყრობილიდან გაქცევა დანაშაულის აღიარებას ნიშნავს და ხელისუფლების მიზანიც მიღწეულიაო.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სიმართლეა, რასაც ამბობენ, მაგრამ დარაჯების დასჯაც წესია. უამისოდ, გაქცევა გათავისუფლებას ემსგავსებოდა.

ა ლ ფ ა. შენ გგონია ნახევარი სალარო იხსნის?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მამაშენის სალაროს ნახევარი — ზარზეიმით! ყველა დარაჯი ცოლ-შვილიანია, სახლში კაი ბლომად გროშს დატოვებენ.

ა ლ ფ ა. ღამე ნებისა, მაშასადამე, ცამეტი კაცი უნდა მოიქრთამოს.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მეთოთხმეტეც ივარაუდეთ.

ა ლ ფ ა. მეთოთხმეტე ვინ უნდა იყოს?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. თვითონ სოკრატე.

ა ლ ფ ა. როგორ თუ სოკრატე?!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. არა მგონია, უქრთამოდ გაიქცეს.

ა ლ ფ ა. ხომალდი დაბრუნდება და მოკლავენ, გაიქცევა, აბა, რას იზამს.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სიკვდილის შემდეგ იმუქრება.

ა ლ ფ ა. ის ფილოსოფიური მუქარაა, აპიოს, ფილოსოფიურ მუქარას პრაქტიკასთან არაფერი არა აქვს საერთო, ხვალამდის.

(გადის, ცხენის ფლოქვების ხმა იკარგება)

ს ო კ რ ა ტ ე. ჩრდილოეთის სიომ დაჰბერა, მგონი დილეგში სჯობს.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. თქვენი ნებაა.

ს ო კ რ ა ტ ე. ის რა ისმის, საპყრობილის ეზოშია თუ ეზოს გაღაღმა?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. პირველი შემთხვევაა, ჩამიჩუმიც კი რომ არ ისმის.

ს ო კ რ ა ტ ე. მგონი ჩამთვლიმა, აღარაფერი მესმოდა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ასეა, ადამიანი ერთი მძორია, თვალს დახუჭავს და — მიწა.

ს ო კ რ ა ტ ე. გონიერი მუდამ ცოცხლობს.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ფილოსოფოსები ცოცხლობენ იმ ყველა დროში.

ს ო კ რ ა ტ ე. ფილოსოფია რა აფროდიტეს ვარსკვლავი გგონია — ცოდნაა, სხვა არაფერი.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სხვა არაფერიო, ფულის შოვნაზე ძნელი მაინც ცოდნა მგონია.

ს ო კ რ ა ტ ე. ასეა, ფულს ცოდნა შეცვლის.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ფულიან ბატონს — მცოდნე ბატონი, კიდევ რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ო კ რ ა ტ ე. ვილასზე გაბატონდება?...

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ჩემისთანა ტუტუცზე, ბაჭიებივით რომ მრავლდებიან.

ს ო კ რ ა ტ ე. ნუ იქნები ტუტუცი.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ნუ იქნებიო, ქვეყნის ტვირთი ვინღა აზიდოს?

ს ო კ რ ა ტ ე. ცოდნამ-მეთქი! მანამდე სწორედ ტუტუცი არის ის საშო, საიდანაც ატონი იბადება. ქვეყნის პირველი უბედურებაც უმეცრებაა, ძვირფასო კაცო.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. კაცი კი არა — სილენოსი ხარ, ის მელოტი, ღიპიანი, ღმერთებს რომ ზრდიდა. (ყვირილით) უშველეთ!..

ს ო კ რ ა ტ ე. გაჩუმდი!..

(დარაჯების გადმოძახილი, ხმაური მოისმა)

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი (თავს დაეუფლა, გასძახებს). მანდ ცოტა მშვიდად, წესიერ ადამიანებს სძინავთ!..

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. (შემოდის) მერე, თქვენ ხომ წესიერსაც და უწესოსაც ერთნაირად ძილს უფრთხობთ ყველას. სად გაშხლართულა ეს უბედური, ცოლ-შვილის ურგი, ფეთხუმი!...

(ძველმანებში გახვეულ ქსანტიპას ორი მცირეწლოვანი ბიჭი კალთაზე ეკვრის, 18 წლის ჭაბუკი დედასთან დადგება).

ს ო კ რ ა ტ ე. ჩემო შვილებო, ძაღლსაც არ გააგდებენ ამ დროს ქუჩაში, სად მომაგენით?

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. კაცო, სახლიდან გახვედი, სამხარზე დავბრუნდებიო, თურმე თავდებით დასეირნობდი. როდის მოასწარ, რომ გაგასამართლეს კიდევაც, რისთვის, რა დააშავე? სამი შვილის მამამ რა მდუღარეში ჩაჰყავი შიშველი ფეხი. ადექი მაინც, ბავშვებს მიხედე.

ს ო კ რ ა ტ ე. (წამოჯდება) ქსანტიპა, კოჭებზე ბორკილები მაქვს.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ბორკილებიც რომ მოუსწრია, რატომ მიწასაც არ დაგაყრიან!

ს ო კ რ ა ტ ე. დამაყრიან, ქსანტიპა, სიკვდილი გადამიწყვიტეს.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ოო, სწორედ ამის გასაგებად ავიყარენით, უსაქმურმა სასიკვდილო რა ჩაიდინე?!..

ს ო კ რ ა ტ ე. უდანაშაულო ვარ, ქსანტიპა.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. რატომ, ვაჟკაცო?!..

ს ო კ რ ა ტ ე. (ხმას აუწევს) რატომ გინდოდა დამნაშავე ვყოფილიყავი, ასე არა სჯობს, უდანაშაულო ვარ!...

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. უმაქნისო, ქალაქი ქურდებით აივსო, შენ უდანაშაულო მიდიხარ ჰადესს. უდანაშაულოს სიკვდილი თუ გეწერა, ჩვენს ცოდვაში რად გაერიე, რისთვის დაგვტოვე ულუკმაპუროდ?!

ს ო კ რ ა ტ ე. დედაკაცო, კვლავ გეკითხები, რატომ გინდა დამნაშავე ვყოფილიყავი?

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. რა ვუთხრა ბავშვებს, რომ მამა ჰყავთ ბრიყვი, ყეყეჩი!..

ს ო კ რ ა ტ ე. ბავშვებსაც ის უთხარი, რაც ყველამ იცის.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. შენ, შენი სიმართლე გემტციკებინა, ამაზე ადვილი სხვა რაღა იყო?!..

ს ო კ რ ა ტ ე. ქსანტიპა, სიმართლე ბუნებრივი სახეა კაცის. რა, ვამტკიცო, რომ მე სოკრატე ვარ, სოფრონიკეს ძე, ეს ხომ ასეა?!

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. სამი მოსამართლე რომ გყოლოდა — სამი რეგვენი — სხვას ვიტყოდი, ხუთას კაცთან თავის გამართლება როგორ ვერ შესძელი, რადააშფოთე, რა ძალა გეყო? — გეთქვა, რომ ყველა ხუთასივე შენზე ბრძენია, ამაზე ადვილი სხვა რაღა იყო.

ს ო კ რ ა ტ ე. ბრიყვს ბრძენი ვუწოდო?!..

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. მართლა ბრიყვო, ვეღარ მიხვდი, რომ ბრიყვები ყოველ ქებას დაგიჯერებდნენ, ხუთას კაცთან როგორ ვერ შესძელ?!.. კაი გუნებაზე რომ დადგებოდნენ, იმ სადილსაც მოგისჯიდნენ, უფასოდ რომ მოგითხოვია. ხუთას კაცს როგორ გაუბედე ჭკუის სწავლება. მოთმინებაც დიდი ჰქონიათ, რომ იქვე არ ჩაგახეთქეს ის საწამლავი. ოო, რატომ არ ვიყავი იმ სამსჯავროზე, უბედურ შვილებს ხომ დავურჩენდი დამთხვეულ მამას.

ს ო კ რ ა ტ ე. ახლა ხომ გესმით, უმიზეზოდ რომ არ ვემდური კანონიერების მფარველ დედაკაცს, სასამართლო პროცესზე ერთი ქსანტიპა რომ შემოეშვათ, გადავრჩებოდი.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ვაითუ, ხუმრობ?!..

ს ო კ რ ა ტ ე. არა, ქსანტიპა, შენი ჭკუისა რომ მჭირდეს, სახლში ვიქნებოდი, არქონტი ვიქნებოდი! ჩემს სახლში ღამეს გაათევდა სპარსეთის მეფე!

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. სოკრატუნა, ოო, დამთხვეულო სოკრატუნა, რა თავიდან მოგცვივა უსარგებლო ამდენი სიტყვა. დიახ, არქონტი იქნებოდი, ჩვენს სახლში ღამეს გაათევდა სპარსეთის მეფე!... რა ვქნათ ჩვენ, შენმა შემყურემ, რით ვარჩინო თოთო ბალღები, ვინ გადაიხდის ამ ბიჭის ქორწილს?

(უფროსი ბიჭი გაიზლაზნება, თითქოს წაუტირა, მარცხენა ფეხის წვივს მარჯვენა ფეხით ჩაიფხანს).

ს ო კ რ ა ტ ე. ჯერ, ცოტა რამე ხელობა ისწავლე შვილო.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ჯიბე მოიჩხრიკე, არც ერთი გროში არ გვაბადია.

ს ო კ რ ა ტ ე. (პირველად მწუხარე სახით). ქსანტიპა, შენ ხომ იცი, რომ მე ჯიბე არა მაქვს.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ეს რა უბედურება დაზვავდა ჩვენს თავს. (სოკრატეს ჩააცქერდება) ოო, რა კარგად გიცნობ, რაც უთქმელი დაგრჩა შენს სახეზე ვკითხულობ ყველას. ახლაც მზად ხარ სათნოებისათვის უქადაგო შენს მშიერ შვილებს, პატიოსნების მსხვერპლად დაგვყარა!

ს ო კ რ ა ტ ე. რა ვქნა ქსანტიპა, თქვენც ჩემო შვილებო, გწამდეთ, მთელი სიცოცხლე სიმართლეს ვამბობდი, მხოლოდ სიმართლეს, ეს არის ჩემი ერთადერთი დანაშაული.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. (ცვლავ წამოენთო) ერთადერთიო, იმდენი დანაშაული ჩაგიდენია, რამდენიც სიმართლე გითქვამს!.. უბედურო შვილებო, ხომ მოისმინეთ გულახდილი მამის ნათქვამი. იქნებ გგონია, ატიკაში შენ ერთი ხარ ყველაზე ბრძენი, მედიდურადაც რომ იყურები — სხვებიც არიან, მაგრამ სიბრძნესთან ერთად ჭკუაც ბევრი აქვთ, ცოლ-შვილის სიყვარულით ხმას არ იღებენ. ასე, საჯაროდ, ყველა კაცის გამათრახება რამ მოგაფიქრა? ერთმა, ფეხშიშველა, ღარიბმა კაცმა. მსგავსი თვით თეზევსაც არ უფიქრია, არცა ჰერაკლეს — თითოს ებრძოდნენ. შენ რაო, ის ჩაიფიქრე, რაც კაცის ძალას აღემატება? ლუკმად არ ეყოფი. დელფოს ტაძრის ქურუმებს წყევლა და მეხი!...

ს ო კ რ ა ტ ე. გაჩუმდი მაინც!..

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. არ გავჩუმდები, ტარტაროსში ჩაგვრეკა ცოცხლად. ფოკიდაში დელფოს პითიას შეაჩვენებს ძლიერი ღმერთი!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. დელფოს ტაძრის აუგად ხსენებას არ გაპატიებს არც ერთი ღმერთი.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. რაო, იმ როსკიპმა, ლოთმა პითიამ, სოკრატეაო პირველი ბრძენი?!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. (მთელი არსებით) არის!... სოკრატეა პირველი ბრძენი?!..

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. სიცრუეა!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი არის!..

ს ო კ რ ა ტ ე. (ზედამხედველს წაეშველება) დედაკაცო, პითიას ნათქვამი ხომ შევამოწმე, მე ვარ პირველი ბრძენი.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ცრუს და უმეცარს სიბრძნის ნიღაბი ჩამოვხადეო, კიი! ამას იტყვი.

ს ო კ რ ა ტ ე. სიკვდილიც აწიტომ მომისაჯეს, მე ვარ პირველი ბრძენი!

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ხომ გადაგსანსლეს?

ს ო კ რ ა ტ ე. ზედამხედველო, საპყრობილის კარებთან ვინმე ჩემს მეგობარს მოჰკარი თვალი.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ბლომად არიან, შეზარებულ სახეებსაც კი არ მალავენ.

ს ო კ რ ა ტ ე. სახლამდე მიიყვანონ, ამ დედაკაცმა ქმარი დაჰკარგა, ბავშვებმა — მამა. იზრუნეთ მათთვის.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. (გმინვა შეუწყდება, ზედამხედველს მიუბრუნდა). როდის მოკლავენ?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. როცა მოზეიმე ხომალდი დაბრუნდება.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. (დაყვავებით) მანამდე რას გააკეთებ, უბედურო, ჩვენო სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. ეზოპეს იგავ-არაკებს გავლექსავ.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. შენ, ახლა, ეზოპეს ბედი გაწუხებს?!..

ს ო კ რ ა ტ ე. ჩემზე უბედური ეზოპე იყო.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ასი წლის წინანდელი კაცი ამწუხრებს!..

ს ო კ რ ა ტ ე. (შეუსწორებს) ას სამოცი წლის წინათ იყო.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. წავიდეთ, შვილებო...

(უმცროსი ბიჭი სოკრატეს კალთაში ჩაუვარდება. წახედულობით მეორე ბიჭიც მამასთან მიდის. უფროსი ვაჟი ადგილზეა, მარცხენა ფეხის წვივს მარჯვენა ფეხით ჩაიფხანს, თითქოს ატირდა. ქსანტიპა მუხლებზე დაეცემა თავდახრილი. მცირე დუმილი. ზედამხედველმა წასვლა ანიშნა ყველას. გადიან).

სცენაზეა სოკრატე

სოკრატე. (უძრავად ზის, თავის ფიქრიდან) რადგან მიიცვალა მკვდარი ჰგონია, შენს ფეხთა-მტვრად არა ვღირვარ, ეზოპე. მაპატიე, მეფესავით რომ ვზივარ საპყრობილეში, შენ, მთელ ქვეყანაზე ეძებდი კეთილს, მე — მოედანზე. „ძაღლი და ყვავი“ გავლექსო... „ძაღლმა ყვავს ჰკითხა, ტყუილ-უბრალოდ ათენას მსხვერპლს რად სწირავო“..

ძაღლმა ჰკითხა ყვავსაო, ზვარაკს რადა სწირაო. (თავისთვის) ათენა?.. ო, დედაკაცი, უზენაესი მსაჯული გამოჩრჩა...

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი (გამოჩნდება) ძვირფასო კაცო, ყოვლისშემძლე ჭკვიანი ზევსი რატომ არ წაგვართმევს ენას? შენ, შენს ცოლშვილთან იქნებოდი და ყველანი ერთად, თანხმობით ვიცხოვრებდით.

ს ო კ რ ა ტ ე. მე სოკრატე აღარ ვიქნებოდი.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. იცოცხლებდი!..

ს ო კ რ ა ტ ე. იცოცხლებდი შენ, მე — არა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სიტყვის მიზეზითა ხარ სიკვდილმისჯილი, შენ ხომ წიგნი არ დაგიწერია.

ს ო კ რ ა ტ ე. იმასაც სიტყვა სწერს, სიტყვა!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. (დაცინვით) სიტყვა?!..

ს ო კ რ ა ტ ე. სიტყვა არს ღმერთი!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. სიტყვა?!..

ს ო კ რ ა ტ ე. ჩემ შემდეგაც ამას იტყვიან, — სიტყვა არს ღმერთი!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

ს ო კ რ ა ტ ე. სწორია, შენ არაფერი არ იცი. სოკრატემ ის იცის, რაც არ იცის. ჩვენს შორის განსხვავება სწორედ ეს არის. მაპატიე. რომ არც ისე თავმდაბალი ვარ, როგორც ზოგიერთებს ვეჩვენები. ტოგაც კი არა მცმია, რადგან ამაყი ვარ, რაც ყველას აქვს, ის ჩემთვის რა საკადრისია, ჩემს ცოლ-შვილს ისიც ჰყოფნის, რომ სოკრატეს ცოლ-შვილია. თვითონ ხედავდი, გახარებულები წავიდნენ ჩემგან. სიამაყე რომ დავკარგო, ჩემი ცოლ-შვილიც ვინმე მეტყავის ცოლ-შვილივით მდიდრულად ჩაცმული მოვიდოდა და ჩემი ვაჟიც ვინმე მეტყავის ვაჟივით რიგიანად იქორწინებდა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. შენ თუ ასე გააგრძელე, პოსეიდონს ვფიცავ, ცხოვრებაზე გულს ავიყრი და შიგ ზღვაში გადავვარდები.

ს ო კ რ ა ტ ე. თავს დავიხრჩობო? მაშასადამე, უმეცარი ხარ, ტუტუცი!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. ოო, რატომ არა ხარ მუნჯი!..

(გადის)

ს ო კ რ ა ტ ე. მორჩა, გათავდა, ადამიანი რადგან ერთხელ ალაპარაკდა, ვეღარაფერი ვერ დაამუნჯებს!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი ს ხ მ ა. კარი გააღეთ, ვიღაცას სოკრატეს ნახვა მოწყურებია!

შემოდის კრიტონი

ს ო კ რ ა ტ ე. ო, ჩემო ერთგულო კრიტონ, ამ ცოტა ხანში შენც ჩემსავით შებერებულხარ. ხედავ, დაბორკილი ვარ.

კ რ ი ტ ო ნ ი. ჩვენ ყველანი შერცხვენილები ვართ, შენს დასახსნელად ფული არ გვეყო. ჩვენს შორის მდიდარი კაცი პლატონი არის, მაგრამ მამის მემკვიდრეობაზე ჯერ ხელი არ მიუწვდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჰქნას, ზის და შენს უსამართლო სამსჯავროს წერს. მოგეხსენება, კაცის დახსნა ძვირად ფასობს, დასჯა იაფია. სიმონ ცინიკოსმა და მისმა ამფსონებმა ფულით გვაჯობეს, შავი ცერცვის შესასყიდად თეთრი ცერცვის ფასი გაიღეს. ოო, უშენობას ჩვენ ვერ გავუძლებთ.

(გულწრფელად წაუტირებს)

სოკრატე. მგონი, ადრე შევთანხმდით, ძვირფასო კრიტონ, რომ სიცოცხლის იდეა და თუ ქვეყნად კიდევ არის რამე უკვდავი, არასოდეს იღუპება, რადგან იგი ამავე დროს უხრწნელიცაა. მაშასადამე, მოკვდავი ნაწილი კვდება, სული უკვდავია.

კრიტონი. ხომ შეიძლება სწორედ ის სული ჩვენი სიკვდილისთანავე იფანტებოდეს და იღუპებოდეს?

სოკრატე. ჩვენ ადრე დავამტკიცეთ, რომ ჩვენი სული არსებობდა ჩვენამდე, სანამ ჩვენ მოვიდოდით ამქვეყნად, მაშასადამე, ჩვენი სიკვდილის შემდეგაც ისევე იარსებებს იგი, როგორც ჩვენს დაბადებამდე, მკვდართაგან იბადება ყველა ცოცხალი, შევთანხმდით?

კრიტონი. ახლა უფრო ნაღდი საქმე მაქვს, შენს მოწაფეებს სჭირდები როგორც მზრუნველი მამა და მოძღვარი, სულითაც და ხორცითაც. შენი სიკვდილის შემდეგ ისინი მეგარაში გაიქცევიან, მერე იქიდან პონტოს ნაპირებზე — კოლხეთამდე გზა უწერიათ. რა დიდებული დასი იქნება, რომ ჩემს მაგიერ შენ წახვიდე, უცხოეთში უნდა გაიქცე.

სოკრატე. რას ამბობ, კრიტონ? მალე მოზეიმე ხომალდი დაბრუნდება, მე უნდა მოვკვდე.

კრიტონი. სულ უმტკივნეულოდ, თანაც უფასოდ, ეს არის ფანდი უბრალო, კაცის გონებას ჯერ აზრადაც რომ არ მოსვლია, მხოლოდ საპყრობილის ზედამხედველი ჭირდება ამ საქმეს. უკანასკნელ გროშსაც დამყაბულდება, ხმას აღარ დასძრავს.

სოკრატე. ჰო, აბა, როგორ?

კრიტონი. წლოვანებით თითქმის ტოლები ვართ. სიმაღლითაც, მახვილი თვალი თუ ძლივს გაარჩევს — ვინ მეტია და ვინ დაბალი. მელოტი ხარ — თითქმის ისა ვარ. პაჭუა, არც მე მაქვს ბერძნული ცხვირი. მე მოვკვდები შენს მაგიერ. უცხოეთში შენ წახვალ როგორც კრიტონი, მე მოვკვდები როგორც სოკრატე. აი, ეს არის მთელი პირობა. საწამლავიც ამ ფანდს ხელს უწყობს — დავსივდები, დავლურჯდები, დავბიჟინდები და, მერე თვით ქსანტიპასაც ეჭვი არ შეეპარება, რომ სოკრატეს დასტირის.

სოკრატე. ქსანტიპას, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოუვა, რომ კრიტონს დასცინის, მაგრამ ეს როდია მთავარი. შენ რას მოიგებ შენი სიკვდილით?... (სხვა ტონით) კრიტონ, როცა კაცი თავს სასიკვდილოდ დებს, რაღაც დიდი განზრახვა აქვს. მეგობრისათვის თავდადება მესმის, მაგრამ იმის მიღმა კიდევ არის ჭეშმარიტი საგნის წყურვილი, გონიერ კაცს თავგანწირვას რომ უკარნახებს, ალბათ ბოლომდე მეტყვი.

კრიტონი. მე თუ მოვკვდები როგორც სოკრატე, და შენ — სოკრატე, უცხოეთში იქადაგებ როგორც კრიტონი, კრიტონს დიდი სახელი გაუვარდება, რადგან სოკრატე იცოცხლებს როგორც კრიტონი.

სოკრატე. და შენ მოკვდები როგორც სოკრატე?

კრიტონი. მე ორჯერ მოგებული ვარ, შენ — ცოცხალი სოკტრატე კრიტონი იქნები და მკვდარი კრიტონი ვიქნები სოკრატე.

სოკრატე. ესე იგი, მე აღარ ვიქნები სოკრატე?

კრიტონი. სამაგიეროდ, კრიტონი იქნები, თანახმა ხარ?

სოკრატე. ესე იგი, მე ვიქნები კრიტონი?

კრიტონი. კრიტონი.

სოკრატე. შენ სოკრატე?

კრიტონი. მკვდარი სოკრატე.

სოკრატე. მაგრამ უცხოეთში მე ვიქნები კრიტონი?

კრიტონი. ცოცხალი კრიტონი.

სოკრატე. შენი სახელით სიცოცხლე, ჩემო კრიტონ, ჩემთვის ორმაგი სიკვდილია.

კრიტონი. ორმაგი რატომ?

სოკრატე. ერთი ის, რომ ჩემ მაგიერ უნდა მოკვდე. მეორეც ის, რომ მე, კრიტონი ვიქნები. კრიტონის სახელით უცხოეთში ვინ დამიჯერებს, ან იმ უცხოელებს რისთვის სჭირდებათ კრიტონი?

კრიტონი. შენ ბრძენი ხარ, რა მნიშვნელობა აქვს სახელს?

სოკრატე. სახელი, ჩემო კრიტონ, იმ დაუღალავი შრომის ნაყოფია, რაც მე გავწიე, კრიტონის მეტამორფოზას ვინ დაიჯერებს; მერე, მეყოფა კი სიბრძნე, რომ სიბერეში კრიტონის სახელით კრიტონს სახელი შევძინო?

კრიტონი. ნუთუ ასეთი ჩერჩეტი ვარ, რომ მოხუცებულობაში სოკრატეს გონიერებაც კი ვეღარ მყოფს ბრძენად.

სოკრატე. არა, ჩერჩეტი — არა, მაგრამ არც სოკრატე ხარ. შენი სახელით უცხოეთში ჩემს ცოლ-შვილსაც მეტი განსაცდელი მოელის.

კრიტონი. უმთავრესი მაინც გადაწყდა, მე მოვკვდები და სოკრატე იცოცხლებს, სულ ბოლო დღემდე, ღვთით მონიჭებული სიცოცხლის იმ ბოლო ამოსუნთქვამდე.

სოკრატე. მოდი, გადაგეხვიო, ძვირფასო კრიტონ. შენ შენი ჭკუით იცოცხლე, მე ჩემი ჭკუით მოვკვდები. პირობას გაძლევ, სიკვდილის შემდეგ დაგიბრუნდებით.

კრიტონი. ჩვენ მამას ვკარგავთ!..

(აქვითინდება, მუხლებზე მოეხვევა).

სოკრატე. იზრუნე თქვენთვის, მოვითხოვ საქმეს და არა ალთქმას.

კრიტონი. ვეცდები აღვასრულო შენი ანდერძი. (სხვა ტონით) როგორღა მიგაბარო მიწას?

სოკრატე. როგორც მოგეპრიანებათ. შენი დარწმუნება, ჩანს, ვერ შევძელი. (შთაგონებით) გწამდეს, მე კი არ მმარხავ, გვამს მარხავ ჩემსას ..

კრიტონი. ოო, ღმერთებო! შეცნობილი აქვს თავისი თავი; (მიდის, მერე მობრუნდება) მაშ, არ გინდა ცოცხლობდე როგორც კრიტონი?

სოკრატე. ჩვენ ხომ ვიმსჯელეთ?

კრიტონი. მშვიდობით...

(გადის)

სოკრატე. ნახვამდის! (სკამზე ჩამოჯდება) ჰო, სად შევჩერდი, ეზოპე?... ერთი ბაყაყი ტბაში ცხოვრობდა, მეორე გზაზე, ტბის ბაყაყმა გუბის ბაყაყს ურჩია, ჩემთან გადმოდი, შიშიც არაფრის გვექნებაო — არაო! არაო და — გზაზე ფორანმა.... (სინანულით) ეზოპე, ეზოპე, ნეტა გვერდით გყოლოდი, ისე უბედურად არ მოკვდებოდი. უზომოდ დასცინოდი, უზომოდ (ფეხის გაშლა მოუნდა, ბორკილმა თავისი ზომა აგრძნობინა). აი, ზომა... ხედავ, ზომიერი ვარ... ძაღლმა ჰკითხა ყვავსაო... (დილეგში შედის, სარკმლიდან იყურება) როგორ ქთქვი, — „ზვარაკს რადა სწირავო"... (შორიდან ცხენის ფლოქვების ხმა ისმის, ახლოვდება. ერთბაშად შეწყდება).

შემოდის სიმონ ცინიკოსი

(ტუნიკაშემოხეული, ნაბეგვი, გამწარებული. საზარლად დაასლოკინებს, სოკრატეს თვალი მოჰკრა, ჩააშტერდება).

სოკრატე. სიმონ ცინიკოსო, მცოდნე კაცივით დაჰყურებდი ქვეყანას, ალაგ-ალაგ გოროზი, რას დამსგავსებულხარ, სად არის შენი თავმდაბალი სიამაყე. რაო?

სიმონ ცინიკოსი. უღმერთო კაცო! ვირს, მუტრუკს, სულელს კეთილგონიერებაზე ადრე პოლიტიკა რატომ ასწავლე?!.. მთვრალს, უგონოს, ხელში ორლესული დანა მიეცი? ჯერ სათნოება, მერე პოლიტიკა რად არ ასწავლე, შენ გეკითხები, ჯერ სათნოება რად არ ასწავლე?!..

სოკრატე. სათნოებას ბადებს მისწრაფება სიკეთისაკენ.

სიმონ ცინიკოსი. ჰოდა, დაბადა: ნეკნები დამალეწა, ზედ წიხლები დამაზილა, ტუნიკა შემომახია, შემომატრიტა, თავდაღმა დამკიდა როგორც საყასბოში ზორბა ბურვაკი. რა ასწავლე, შენ გეკითხები, რა ჯადო უყავ, ასე უცებ, სულ მცირე დროში როგორ გარყვენი?!..

სოკრატე. ძაღლს გეფიცები, თვითონ ისწავლა, ერთადერთი, რაც ვუთხარი, — ადამიანი უფრო რთულია, ვიდრე კოსმოსი,— დანარჩენი თვითონ იაზრა: თვალი აქვს, ყური, ზედმიწევნით გონიერია, მან დაინახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. რა დაინახა?!...

ს ო კ რ ა ტ ე. ზნეობა.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ვაითუ, ფიქრობ, იმ უსარგებლო ნაგავს ვერ ვხედავ. თვითონ რა ხვითო მყავს, ამას წინათ, ჰეტერების სახლში მისი უზნეობა ფული დამიჯდა. ჰეტერას სცემა, სახლის პატრონს ძმარი ადინა.

ს ო კ რ ა ტ ე. თუ უსამართლო განაჩენს ხედავს, იმ საქციელსაც გონივრულად შეაფასებდა.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. მამა სცემეო, კუჭის წვენი ამოუღეო, შენ წააქეზე?!...

(ცხენების ფლოქვების ხმა მოისმა და ერთბაშად შეწყდება).

ა ლ ფ ა ს ხ მ ა. ეჰეე, ზედამხედველო, კარი გამიღე!...

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. (საზარლად დაასლოკინებს) მოვიდა!.. არიქა, ბევრი არიან, სოკრატე. შენს მაგიერ დილეგში ჩამსვი.

ს ო კ რ ა ტ ე. ვერ მოგართმევ, ერთ ადგილიანში ვარ, სიკვდილმისჯილი!

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. გამოდი, ჩქარა!...

ს ო კ რ ა ტ ე. ციხის კანონით მე მეკუთვნის.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. დილეგში ჩქარა!..

ს ო კ რ ა ტ ე. ცალკე მოძებნე შენი ადგილი.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. (სოკრატე დილეგიდან გამოაგდო, თვითონ შეთავსდა) ჩამკეტე, ჩქარაა!..

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. (გამოჩნდა) უგანაჩენოდ არ შემიძლია!

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ურდულით გადაკეტე, ვითომ არა ვარ.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. უგანაჩენოდ — არა!

ს ო კ რ ა ტ ე. მოესწრები ამის განაჩენს.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი ო ს ი. სამაგიეროდ, ის ჩემი მხეცი ამქვეყნიური ჯაჭვის რგოლია, უარსაც ვერ იტყვი, შენი მოწაფეა. ურდული!..

ს ო კ რ ა ტ ე. აჰა, დავკეტე.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მართალი კაცის დაჭერისათვის პასუხს მომთხოვენ.

ს ო კ რ ა ტ ე. ვინ მოგახსენათ, რომ ეს პირუტყვი მართალიაო.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. სოკრატე!!!!

(საზარლად დაასლოკინებს)

ს ო კ რ ა ტ ე. ძროხის ფაშვი აქვს, ტახის ეშვი, რომ გაფატრო კუჭში ვერცხლის ფული აღმოაჩნდება.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. გამოტყდი?! აბა, საიდან იცი, რომ კუჭში ვერცხლის გასაღები მაქვს, წინასწარ დაგეგმეთ, მოიფიქრეთ, მოითათბირეთ?!..

ს ო კ რ ა ტ ე. კუჭში გასაღები?!

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. კუჭში.!. ზედამხედველო, ჩემი მოსვლის მიზეზსაც ხვდები, — სადარაჯო გააძლიერე!

ა ლ ფ ა. (გამოჩნდა) ზედამხედველო, რად შემოუშვი დედაჩემის ქმარი?!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. დედაშენის ქმარი მამაა შენი, თან პირველი ჰელეიასტია!..

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. სასამართლოს თავმჯდომარე ვარ!..

ა ლ ფ ა. აღარა ხარ, იმ დღეს იყავი, როცა სოკრატე გაასამართლეთ, იმ დღის მეხი ხარ! ახლა? — ერთი მეტყავე, ერთი ჩექარხნე, ერთი მსუნაგი, ფულის ტომარა.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. მერე, ძვირფასო შვილო, შენც ხომ იმით გიდგას მთავარი სული, რომ მამაშენი ტყავის სუნით ჰყარს.

ა ლ ფ ა. კაცის მკვლელობაც ამიტომ იკისრე, გამოდი გარეთ!

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. არ გამოვალ!.. (მუდარით) ვერცხლის ტომარაც რომ სახლში გვედოს და სანამ ვცოცხლობთ, კაცი გვერქვას, სწორედ ამიტომ, ერთხელ მაინც სამშობლოს სამაგიერო უნდა მიუზღო, მე პატრიოტი ვარ!..

ა ლ ფ ა. სოკრატეს სიკვდილით?!

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ამიტომ ვარ ფულის ტომარა, შენ ჯანიერი, ვირის ღონე გაქვს. (სხვებს) ხედავთ, სულ დამზილა, შემომახია მთელი ტუნიკა.

(საზარლად დაასლოკინებს)

ს ო კ რ ა ტ ე. სცემე? გცემა?

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. დამნაყა.

ს ო კ რ ა ტ ე. მამის შეურაცხყოფა რამ გაფიქრებინა?

ა ლ ფ ა. იმ განზრახვით კი არ მიცემია, რომ მეცემა. მე სალაროს კლიტეს ვართმევდი, ნებით არა ჰქნა, შემომელახა.

ს ო კ რ ა ტ ე. არა, ეს სიტყვა არ გეკადრება. როგორ შეიძლება შემოგელახოს მამა, რაგინდ გათახსირებულიც არ იყოს იგი.

ა ლ ფ ა. არა, სწორად ვერ ვამბობ, კი არ შემომელახა, უბრალოდ, ცემას დაემსგავსა ჩემი ძიძგნავი. წინ გადამიდგა, ვერაფრით კლიტე ხელიდან ვერ გამოვგლიჯე, მერე მოასწრო და, გადაყლაპა.

ს ო კ რ ა ტ ე. სალაროს გასაღები?!..

ა ლ ფ ა. დიახ, კუჭში აქვს. (სიმონ ცინიკოსი დაასლოკინებს) აი, ხომ გესმით, ვერცხლის ზარნიშიანი სპილენძის გასაღებია, მერე გავცხარდი, აბა, რა მექნა, თავდაღმა დავკიდე, გულბოყვი ამოვუნგრიე, რომ კუჭიდან ამომეღო სალაროს კლიტე.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ოო, სოკრატე, ამ ცოტა ხანში როგორ გარუჯეწი?!..

ს ო კ რ ა ტ ე. შენ, მანდ ზრდილობიანად ილაპარაკე, თორემ ამ გისოსებს ხის დარაბათი ამოგიკეტავ. (ალფას) რად გინდოდა ამდენი ფული?

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. „რად გინდოდაო ამდენი ფული“, ვითომ არ იცი, საპყრობილედან შენს გასაქცევად.

ს ო კ რ ა ტ ე. ჩემს გასაქცევად?!

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ვითომ პირველად გესმის?

ა ლ ფ ა. ნუ ყვირი, თორემ იმ ციკუდას, სოკრატეს რომ შეუმზადეს, შენ შეგასმევენ, კი!.. შენ არ იყავი, სოკრატეს რომ გადაულაპარაკე, — გაქცევას თუ მოაწყობ, ხელს არ შეგიშლიო. გაქცევას ფული ჭირდება, ბლომად ვერცხლი.

ს ო კ რ ა ტ ე. ახლა, ამას კუჭში კლიტე აქვს?

ა ლ ფ ა. მერე რამხელა.

ს ო კ რ ა ტ ე. სპილენძის კლიტე? მოკლავს.

ა ლ ფ ა. არა, მოსაკლავად არ მემეტება.

ს ო კ რ ა ტ ე. არც გაიმეტო, ამასაც შეუძლია კეთილად იქცეს, კარგად დააკვირდით, განაჩენი რომ წამიკითხა, ეს იმას არ ჰგავს, სულ სხვა კაცია.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. უბედური სახე აქვს.

ს ო კ რ ა ტ ე. იწამლება.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ვიწამლები, რაზე მეტყობა?!...

ს ო კ რ ა ტ ე. სახეზე, ტუჩზე სილურჯე, ფეხებზე სიცივეს გრძნობ?

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ჰო, რაღაცას ვგრძნობ.

ს ო კ რ ა ტ ე. სასწრაფოდ ლამფის ზეთი ჩაახეთქეთ!..

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ლამფის ზეთი?!..

ს ო კ რ ა ტ ე. გულის ზიდება აუტყდება და იმ კლიტესაც გადმოანთხევს.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. კლიტეს წამართმევთ!

ს ო კ რ ა ტ ე. აბა, რას ფიქრობ?

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. სადაც არის, იქ იყოს. (დაასლოკინებს) ან რატომ იყოს!..

ს ო კ რ ა ტ ე. რა ზომის კლიტეა?

ა ლ ფ ა. სწორედ იმ ზომისა... არ გაეტევა. ჰეი, ბიჭებო! სწრაფად, ლამფის ზეთი. თასი შეუდგით!..

(გამოჩნდება ორი ნიღბოსანი)

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. არა, არ მინდა, კლიტეს წამართმევთ!.. ამ ყაჩაღებმა შემიკრეს ხელი.

ა ლ ფ ა. სწრაფად!...

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე სალაროდან ვერცხლი გაზიდოთ.

(დაასლოკინებს)

ა ლ ფ ა. იქ ჩაახეთქეთ, სადაც მიცვალებულებს ტანსა ჰბანენ, ბლომად ზეთი! თასი შეუდგით, მერე მყრალი კუჭიდან ამოღებული კლიტე კარგად გარეცხეთ.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. არ დაგნებდებით!..

ს ო კ რ ა ტ ე. ძალით გამოათრიეთ!..

(სიმონ ცინიკოსი ნიღბოსნებმა გამოიყვანეს, დილეგის წინ დაბლა დასვეს)

სიმონ ცინიკოსი. ოო, სოკრატე, შე ულმერთო სოკრატე, სასამართლოზე შენ არ ამბობდი, — ძალადობას ის მიმართავს, ვისაც ჭკუა აკლია და ღონე ერჩისო?

სოკრატე. დიახ, განაჩენიც ამას ამტკიცებს.

სიმონ ცინიკოსი. შენ თუ ბრძენი ხარ, ძალადობას ძალადობით რაღასთვის მიზღავ?

სოკრატე. რომ გიმკურნალოთ და ცოცხალი გადარჩე.

სიმონ ცინიკოსი. მკვლელის სიცოცხლეზე თუ მართლა ზრუნავ, როგორ მოაწიე ამ დრომდე, კაცო?!..

სოკრატე. უმეცარი ხარ!..

სიმონ ცინიკოსი. უმეცარი — მე?!.. ხა. .ხა ..მაშ, საიდან მაქვს კუჭში კლიტე, სახლში სალარო?!..

სოკრატე. კაცო, თაღლითობა როდია ცოდნა.

სიმონ ცინიკოსი. მაკამათეთ, გული მაჯერეთ. შენ ბრძენი ხარ, მაგრამ უჭკუო! შენი სიღარიბეც ამას ამტკიცებს: ცოლშვილს შიმშილით ხოცავ, არც ქირას ღებულობ.

სოკრატე. სწავლისთვის ქირის მომხვეჭი იმის მონაა, ვისგანაც ქირას ღებულობს. მე თავისუფალი მოქალაქე ვარ.

სიმონ ცინიკოსი. თავისუფლების ნაყოფიც — შეამზადეს შენთვის ციკუდა!...

ალფა. წაიყვანეთ, ლამფის ზეთი ბლომად ჩაახეთქეთ, თორემ ეს უმეცარი მზის ჩასვლამდე მოიწამლება.

სიმონ ცინიკოსი. შეჩერდით!... ზედამხედველო, ჰა, ოცი დრაქმა, ვინმე დარაჯი გაგზავნეთ ტაძარს, სამისნოზე პითიას შეეკითხოს, ვერცხლის ზარნიშიანი სპილენძის კლიტე კაცს თუ მოწამლავს. ჰა, კიდევ ოცდახუთი, ისიც შეეკითხოს, — ნეკის სიგრძე გასაღები, ბეჭდის სიმსხო თავით (ხმადაბლა) თუ გაეტევა. ყველა კითხვაზე ღვთის სახელით მომიტანეთ ზუსტი პასუხი.

სოკრატე. რომელ ღმერთს შეეკითხოს?

სიმონ ცინიკოსი. ჰო, რომელ ღმერთს, რომელს შევეკითხოთ, ა, სოკრატე, ალბათ ჰეფესტოს, კლიტეების ჭედვის საქმე ჰეფესტომ იცის.

სოკრატე. „გაეტევა თუ არ გაეტევა“, ვის შეეკითხოს?..

სიმონ ცინიკოსი. რომელ ღმერთს ვკითხოთ?

სოკრატე. უმეცარო ცინიკოსო. შენ რა გაგეტევა, ღმერთმა რა უწყის.

სიმონ ცინიკოსი. ულმერთო კაცო, ჩვენ ყველაფერს ღმერთს ვეკითხებით!..

სოკრატე. უბრალო საკითხების გარჩევის უნარი ღმერთებმა ჩვენ მოგვანიჭეს.

სიმონ ცინიკოსი. საბუთი, რა საბუთითო, ერთი მაინც დამისახელე!...

სოკრატე. დაიმონები შთამაგონებენ!..

სიმონ ცინიკოსი. დაიმონები, ხი-ხი... დაიმონები!.. (ყვირილით) სოკრატეს ღმერთებო, მოდით, მეც შთამაგონეთ! ნუ გრცხვენიათ, მოდით, შთამაგონეთ!...

სოკრატე. რა გაყვირებს, კაცო, ის უხილავი ღმერთები სულში სხედან.

სიმონ ცინიკოსი. იქნებ, ძროხის ფაშვში ზის.

სოკრატე. კაცო, განსხვავდები პირუტყვისაგან.

სიმონ ცინიკოსი. (მუქარით) მაშასადამე, გონიერების სამყარო შექმენ, რომ ბოროტმა კაცმა საუთარი ძალა შეიცნოს?!

სოკრატე. კეთილს მიემხრე!

სიმონ ცინიკოსი. კეთილს? დედაშობილად რომ დაეთრევა და ქუჩას ამძიმებს. არა, ჩემი ღმერთები სჯობნიან შენსას, ქვის ღმერთები — მოედანს სიამაყით გადაჰყურებენ — ფულს გავუგზავნი, იმისი ქურუმები მირჩევენ, რა ვაკეთო, როგორ მოვიქცე, ნაღდი საქმეა, ბევრს მივცემ, ბევრს მეტყვიან, ცოტას და ცოტას...

ალფა. ხომ გესმით, ძველი ადათ-წესების ტყვეობაშია ეს უმეცარი.

სიმონ ცინიკოსი. ოჰოო, მგონი, ამ ლაწირაკმა „თავი შეიცნო“, ფრთხილად იყავი, ის მომავალი ჯერ არ დამდგარა. ზედამხედველო, ჩქარა, სამისნოზე კაცი აფრინე, სუყველაფერი დაწვრილებით, კარგად შემიტყვე.

სოკრატე. (ზედამხედველს) შეჩერდი. ვიდრე ამის კუჭში ვერცხლის ზარნიშნიანი სპილენძის კლიტე შვეულად დგას და ჰორიზონტალურად არ დაწოლილა, იქ წაიყვანეთ, სადაც მიგყავდათ, ლამფის ზეთი ბლომად ჩაახეთქეთ.

სიმონ ცინიკოსი. არ ჩავხეთქავ!..

სოკრატე. ლამფის ზეთია სწორედ ის საბუთი, ღმერთებმა რომ მოგვანიჭეს, — ლამფაში ცეცხლი და მისი შუქი, რომ ადამიანთა საქმეები მცოდნე კაცებმა გაარჩიონ. (სხვა ტონით) ლამფის ძირში დანალექი მთელი სიმყრალე ჩაახეთქეთ, რომ სულ ერთიანად ამოუტრიალოს ნაჭყაპურტები.

ალფა. აბა, ერთად!...

(ალფამ და ნიღბოსნებმა სიმონ ცინიკოსი მაღლა ასწიეს).

სიმონ ცინიკოსი. ეჰეე, ხალხო, სოკრატეს მეთაურობით მძარცვავენ, ხალხო!...

ალფა (სიმონ ცინიკოსი კვლავ დაბლა დასვეს) გაჩუმდი, თორემ ვიყვირებ.

სიმონ ცინიკოსი. მაინც რას იტყვი?

ალფა. რა მიზნით მიმაბარე სოკრატეს, სხვას არაფერს, არც იმას ვიტყვი თუ როგორ გახდი უმდიდრესი კაცი მთელ ათინაში.

სიმონ ცინიკოსი. (სოკრატეს მიუბრუნდება) შენ გამიგიჟე შვილი, კრაზანა ხარ. მშვიდობიანი ქალაქის კისერზე — კრაზანა!

სოკრატე. დიახ, უმეცრების მსუქან კისერზე გონიერებისათვის რომ თითსაც არ ანძრევთ, ჩემს შემდეგ, ალბათ, მზრუნველი ღმერთი სხვას გამოგზავნის, კრაზანა ვარ!.. ჩაახეთქეთ!

სიმონ ცინიკოსი. მე თვითონ. (წამოდგება) ჩემთან საერთო რად ვერ მოძებნე, მეც მდაბიო ვარ...

სოკრატე. კუჭში კლიტე გაქვს!..

(სიმონ ცინიკოსი მუხლებზე დაეშვება, დაასლოკინებს) გაიყვანეთ!..)

სიმონ ცინიკოსი. მე თვითონ... (ნიღბოსნებს გაჰყავთ, ალფა თან მისდევს, სიმონ ცინიკოსის მუხლებზე დადგომა ზედამხედველმა მონანიების ნიშნად მიიღო, თვითონაც მუხლებზე დაეშვება).

სოკრატე. შენ რაღა გინდა?

ზედამხედველი. ტირანების ბატონობის დროს მე, უბედური სიკოფანტი, გჯაშუშობდი.

სოკრატე. ალბათ, შენი ხელობა იყო?

ზედამხედველი. ხელობა იყო!..

სოკრატე. აბა, ადექი. კაცო, აქ იმდენი საქმეა, ბორკილები ფეხებში მებლანდება.

ზედამხედველი. გნებავთ, მოგიხსნი?

სოკრატე. არა, მსუბუქი ფეხები გაქცევას მაფიქრებინებს.

ზედამხედველი. გაიქეცი!..

სოკრატე. მტყუანი გარბის.

(ბოლთას სცემს, დილეგის სახურავზე შეჩერდება)

ზედამხედველი. სოკრატე, რატომ არა ხარ მოსამართლე! ო, რა იქნებოდა ცხოვრება მაშინ.

სოკრატე. აუ, რა ბევრი ხალხია... (საზეიმო შორეული ხმები მოისმა) მე ვიქნები მოსამართლე!..

ზედამხედველი. როდის, სოკრატე?

სოკრატე. ჯერ მოვკვდები, მერე მოსამართლე ვიქნები.

ზედამხედველი. მკვდარი მოსამართლე?!

სოკრატე. ოო, რა სასტიკი! ფოკიდაში, დელფოს ტაძარზე ჩირაღდანს დავანთებ და იმის ზევით, მაღალ ზეცაზე, — თავისუფლება ცოდნის მიხედვით! — ცარცით წავაწერ.

ზედამხედველი. მკვდარი?!..

სოკრატე. ო, მერე როგორ!.. რას ეძახი მკვდარსა და ცოცხალს, ეს რომ არ ვიცი?..

ზედამხედველი. (კვლავ აღმაფრენით) არ მინდა არც ერთი გროში, იმ ციკუდასაც მე შევსვამ, ოღონდ კი წადი!

სოკრატე. რა სიმამაცეა ციკუდას შესმა, როცა არ იცი რატომ უნდა შესვა.

ზედამხედველი. (ოცნებით შეპყრობილი) ვიცი. რაღაც ზემოდან მიწაზე ჩამოსახლე, ასე მგონია, არაფრითა ვარ ღმერთზე ნაკლები!

სოკრატე. განუკითხაობის მიზეზი სწორედ ეს არის, რომ ყველა უმეცარს თავისი თავი ღმერთთან ჰგონია.

ზედამხედველი. სოკრატე, ვიღაცამ ვიღაცის სახელით ცხვირში თუ არ გვირტყა, ქვეყანა გაირყვნება.

სოკრატე. ღმერთთან სიახლოვე რამ გაფიქრებინა, ძაღლო?

ზედამხედველი. არ ვიცი.

სოკრატე. რა არ იცი?

ზედამხედველი. რატომ ვარ ძაღლი?

სოკრატე. რომელი ძაღლი-თქო, ეს შემეკითხე.

ზედამხედველი. ძაღლი ძაღლია.

სოკრატე. როცა ჯიშიან ძაღლს სცემენ — ცხვირში ურტყამენ — პატრონს გაურბის, შენ რომელი ხარ?

ზედამხედველი. ჩემი პირითაც რომ მათქმევინებს — უჯიშო!..

(შორეული საზეიმო ხმა ტალღად მოასკდა დილეგს. მცირე დუმილი. ზედამხედველი სოკრატეს თვალს მოარიდებს).

სოკრატე. ხომალდი დაბრუნდა?

ზედამხედველი. არ ვიცი...

სოკრატე. ნამდვილად იცი.

(საზეიმო ხმებში დოლი და ტიმპანი მრისხანე ხმებად გამოიკვეთა, ნაბიჯების ხმა ახლოვდება).

ზედამხედველი. დილეგში შედი!..

(სოკრატე დილეგში მიიმალება. ნიღბიან დარაჯებს მხრებზე საკაცეთი შხამით სავსე ფიალა შემოაქვთ. ზედამხედველმა დილეგის ნიშადან ცარიელი ფიალა დარაჯს გადასცა, სამაგიეროდ, შხამით სავსე ფიალა სასოებით ჩააბარეს მას. ზედამხედველმა სავსე ფიალა ნიშში შედგა. დარაჯები გადიან).

ზედამხედველი. (დილეგის კარი გამოხურა, ხელებს გადიჯვარედინებს) ალაფებიონის თვეა, ბაკქის ზეიმიც დაერთო. შენ რა, ალარაფერი გესმის, შენ გეუბნები, რატომ არ მპასუხობ?!..

სოკრატე. (დილეგიდან) აბა, რა გიპასუხო: ალაფებიონის თვეა, ბაკქის ზეიმი.

ზედამხედველი. ზეიმი კი არა — რისხვა. გესმის?

სოკრატე. ხომალდი დაბრუნდა?

ზედამხედველი. არ ვიცი-მეთქი, წეღან გითხარი.

სოკრატე. იცი!

ზედამხედველი. კიდევ რა იცი?

სოკრატე. ფიალაში ციკუდა გვაქვს, პირთამდე სავსე.

ზედამხედველი. გარეთ გამოდი, შენ გეუბნები!... (სოკრატე გამოდის) ჰა, გასაღები.

სოკრატე. (კალთით ტუჩს მოიწმენდს) ეს რა გასაღებია?

ზედამხედველი. როცა საპყრობილეში ციკუდას შე?იტანენ, ტუსაღმა ბორკილები უნდა მოიხსნას, ასეა წესი.

სოკრატე. კაცმა რომ თქვას, ბორკილებში როგორ უნდა გაფშიკო ფეხი, და რომ გაფშიკო კიდევაც, შხამის ზემოქმედებით ფეხები დასივდება, გაირუმბება, მერე ვერც თუ ისე იოლად გამოაძრობ ამ ძვირფას ლითონს, არადა, ყველა მიცვალებულს რომ თავისი წილი ბორკილი თან გაატანონ, სახელმწიფო ხომ გატყავდება. სად დავყარო?

ზედამხედველი. ძუძუს ბავშვივით რას უფრთხილდები, სადაც გენებოს.

სოკრატე. სამეფო ბორკილებიაო, მახსოვს ამბობდი.

ზედამხედველი. (მოთმინებადაკარგული) ვითომ არ იცი, რა ხდება შენს თავს!..

სოკრატე. შენ ახლა ემზადები ჩემს სასიკვდილოდ, მე დაბადებიდან მზად ვარ. სიჭაბუკეში აღმომაჩნდა გონი, სიბერემდე მაინც მაცოცხლეს, ბედს არ ვემდური.

ზედამხედველი. ესე იგი, არ გეშინია.

სოკრატე. მაძღარს ეშინია, ნაპატიებ სხეულთან გაყრას უ?ალეს სასჯელად სახავს. შენ კი, იმის გეშინია, რაც არ იცი. აზრად არ მოგდის იცოდე ის, რაც არ იცი. ღვთისაც გეშინიათ, ჩემიც ამიტომ გეშინიათ. ერთმა ფეხშიშველამ შესძრა ქაობი, ესეც შენი ცრუმორწმუნეობის თავი და უზნეობის ბოლო. გაიგე?

ზედამხედველი. სწორედ იმ ქაობის მძორივით დამძიმდა ჰაერი, ელაფებიონის თვეში მსგავსი არ მახსოვს.

სოკრატე. იმ ციკუდას ნეტა რა გემო აქვს?..

(კალთით პირს მოიწმენდს)

ზედამხედველი. წყეულიმც იყოს მისი მომგონი.

სოკრატე. მწარე თუ ტკბილი...

(კვლავ პირს მოიწმენდს. ვულკანივით ამოიჭრა შორეული ძლიერი ხმები)

ზედამხედველი. ჩირაღდნები!... ბუკი, ნაღარა, დოლი, ტიმპანი და კაცის ხმები სულ ერთმანეთშია შეზელილი.

სოკრატე. (თავის ადგილიდან) დიონისეს ნაშიერები, მრისხანე მუშტი!

ზედამხედველი. აქეთ მოდიან.

სოკრატე. ეგეოსიდან პონტოს გასწვრივ კოლხეთამდე, ევროპაში და ინდოეთში ყველგან დაყიალობენ.

ზედამხედველი. რა სწამთ?

სოკრატე. ცეცხლი და წყალი, მიწა — ჰაერი, ყველაფერი გარდა ცოდნისა.

ზედამხედველი. სად ცხოვრობენ?

სოკრატე. ყველა სახლში, ყველა ეზოში; შენც მათთან იქნებოდი, აქ, სახელმწიფო სამსახური ხელს რომ არ გიშლიდეს. გაუმარჯოს რაც შეგრჩება და შეგერგება, — ხედავ, ჰყვირიან ლოთი-შფოთები.

ზედამხედველი. პირდაპირ საპყრობილეზე მოდიან. სოკრატე, ბორკილები თუ მოიხსენი?

სოკრატე. აგერ, ხელში მაქვს.

ზედამხედველი. ერთად ვეკვეთოთ, შენ ხომ ძველი ჯარისკაცი ხარ, ძველი ჰოპლიტი, პოტიდეაში ალკიბიადე გადაარჩინე.

სოკრატე. ალკიბიადეს სულიც ამ ლოთებში ტრიალებს.

ზედამხედველი. როგორ მოვიქცე?

სოკრატე. ხელიც არ გაანძრიოთ, ვითომ არა ხართ.

ზედამხედველი. რკინის კარი მოანგრიეს, გესმის, სულ ჩამოიღეს!

სოკრატე. თამაშობენ.

ზედამხედველი. ჩქარა ბუკი, ნაღარა, ქალაქიდან ლეგიონი მოგვეშველება.

სოკრატე. ცისიერ ხმებში მეხის გავარდნაც ჩაიძირება.

ზედამხედველი. დაგვხოცავენ?!

სოკრატე. ხელსაც არ გვახლებენ, სახელმწიფო დაწესებულებებს ანგრევენ მხოლოდ, თამაშობენ.

ზედამხედველი. ათენა-პალადას სახელსა ვფიცავ, არცერთი მახვილი, ია-ვარდებით და კითარებით შემკულებია. მოანგრიეს რკინის კარები!...

(გადის)

სოკრატე (დაჯდება) გეუბნები, თამაშობენ.

(დიონისელ ქალთა და ვაჟთა თავზე ხელაღებული ჭრელი გუნდები, ლოთი მენადები და სატირები შემოცვივდებიან . მათ შორის, ფათალოსა და იების გვირგვინით, მრავალი ბაფთით შუბლშემკული უსახური და გალოთებული ალკიბიადე გამოჩნდება. დილეგს მრავალგზის შემოივლიან, მძლავრად მღერიან)

მოკლეა დღენი,
ავანთოთ ჭალში ალები —
დავლიოთ, დავლიოთ!..
გაავსეთ ღრმა ფიალები,
რა გენანებათ?
დავლიოთ, დავლიოთ!..
ღვინის მალამო
მკერდში ცეცხლად დავანთოთ —
დავლიოთ!...
განა ძაღლი ცოფდება —
ცოფდებიან ქალები!
კაცი უილაჯოა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილი ეპატრონება.
ავსეთ ფიალა —
ერთი კი არა — სამი,
მოკლეა დღენი —
ავანთოთ ჭალში ალები,
დავლიოთ, რა გენანებათ!..

(პირბადიანი ბრისეიდა შუა წრეში როკვით გამოიკვეთა)

გუნდი.

განა ძაღლი ცოფდება —
ცოფდებიან ქალები,
კაცი უილაჯოა,
ძილი ეპატრონება...

გუნდი. ალკიბიადე!.. ალკიბიადე!..

ალკიბაიდე. (შემაღლებულზე ალანძული) აღარა ვარ ალკიბიადე!

გუნდი. ხარ!.. ხმელსა და ზღვაზე მტრის ლაშქარს რომ თავზარსა სცემდი, ხარ!!!

ალკიბიადე. აღარ ვარ!

სოკრატე. აღარ არის, უამაყესთა შორის უამაყესი, ალკიბიადე ერთი იყო, მტრის ლაშქარსაც რომ თავზარსა სცემდა, ერთი იყო!

ალკიბიადე. სწორედ ის ერთი ვარ, პოტიდეაში ჰოპლიტმა, ჯარისკაცმა, ბრძენმა სოკრატემ რომ გადამარჩინე და შენი ამ გმირობისათვის ჯილდოზე მე წარმადგინეს, სწორედ ის ერთი ვარ, უამაყესთა შორის ამაყს, სოკრატეს წინაშე რომ მუდამ მორცხვად მეჭირა თავი. სწორედ ის ერთი ვარ — პერიკლეს სიტყვას რომ ჩვეულებრივი ოსტატის სიტყვად ვისმენდი და შენი შეგონებების მომსწრე, ყოფნას არყოფნას ვამჯობინებდი. მხოლოდ შენს წინაშე ილვიძებდა სირცხვილის გრძნობა, მხოლოდ შენს წინაშე უძლური ვიყავი ურჩობისათვის, ის ერთი ვარ!... ახლა გათანგულს გხედავ და შენს საშველად გამოვემართე.

სოკრატე. შენ ლოთი ხარ, ალკიბიადე სარდალი იყო.

ალკიბიადე. მაშინ სარდლობით ერთობოდა ალკიბიადე, ახლა კაი ცხოვრების ღმერთს ვემსახურები. სოკრატე, ვიდრე ცოცხალი ხარ წამოდი ჩვენთან. შენი სიკვდილი მაშინ გადაწყდა, როცა უარყავი დამკვიდრებული ცხოვრების წესი. სასიკვდილო ხარ, რადგან ამ მძიმე გზაზე ვერაგობის ნატამალიც არ ამოგაჩნდა. სიკვდილის ღირსი ხარ, რადგან ბრძენთა შორის პირველი ბრძენი ხარ! ცოდნით და სწავლით, იმ სათნოებით, ქვეყნის გარდაქმნა რამ მოგაფიქრა? ადამიანებს ცხოვრება უნდათ — შენ სინდისისაკენ მოუწოდებდი — სასიკვდილო ხარ! ძაღლის კუდის გასწორება რისთვის დაგჭირდა? ლოთებთან-მეთქი, თავისუფალ ცის ქვეშ, ლოთების მიწაზე!...

გუნდი. ლოთებთან!.. ლოთებთან!..

სოკრატე. ალკიბიადე!

ალკიბიადე. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ პირუტყვები ვართ. მერე რა, რომ მეტყველების უნარი მოგვცეს ღმერთებმა, სიცრუემ სიავის მეტი რა მოგვიტანა, იქნებ დადუმება სჯობს? შეელიე აზრის სამყაროს, გაუმარჯოს შიშველ ცხოვრებას!.

სოკრატე. ამპარტავანო, ძველო შეგირდო, მორჩილებას გვთავაზობ, როგორც ტირანი. (გაცხარებით) იმ პირველყოფილ კრონოსის ქვეყანაში დავბრუნდეთ, კაცო?!.. (დაყვავებით) ა, იქნებ, რომ სჯობდეს?

(სიმღერით)

„ავსეთ ფიალა,
ერთი კი არა — სამი,
მოკლეა დღენი,
ავანთოთ ჭალში ალები —
დავლიოთ, დავლიოთ!“

გუნდი. დავლიოთ, დავლიოთ!..

სოკრატე. თქვენს შორის ყველაზე დიდმა ლოთმა მიპასუხოს, როდემდის ვსვათ? ეჰეი, ბაკქანალებო, დიონისეს სიფათს გაფიცებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I სატირი. (სხვებს გამოეყო) აბა გაბედოს და, რომელიმემ თავისი თავი ყველაზე დიდ ლოთად გამოაცხადოს, ამ მოკლე ჯოხით თავს გავუხეთქავ.

II სატირი. ჩვენ, ყველანი, ერთი, თანასწორი ლოთები ვართ. დემოკრატიული რესპუბლიკა გვაქვს.

სოკრატე. ლოთებს შორის ბრძენმა ლოთმა მიპასუხოს, ვინც უკეთ იცის ლოთობის გემო.

I სატირი. ტირანიაც საკუთარ გემოზე ლაქლაქით იწყება, აბა ვინმემ გაბედოს, თავს გავუხეთქავ!

(მოკლე კომბალს ხელში მსუბუქად შეატრიალებს)

II სატირი. ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკა გვაქვს.

სოკრატე. მით უმეტეს, სიტყვა გამაგონეთ.

II სატირი. ჩვენ მხოლოდ ვმღერით, უსიტყვოდ, ერთხმად!

სოკრატე (ხმას აუწევს) მერე, ზედ ერთი აზრიანი სიტყვაც დაურთეთ.

ალკიბიადე. მოეშვი აზრს, თეორიებს, არსის წვდომას, თავის შეცნობას, სალვთო საქმე, ღმერთებს დაუთმე. წამოდი ჩვენთან, მთელი ქვეყნის წმინდა ლოთებთან, ყველა კანონს ბუნება წერს, ბუნება შლის, არავის კლავენ, გაუმარჯოს შიშველ ცხოვრებას!..

(სინათლის შუქმა გადაინაცვლა, ალკიბიადე აღარ ჩანს)

გუნდი. ალკიბიადე!.. ალკიბიადე!..

სოკრატე. ბაკქანალებო, კიდევ ერთხელ გამაგონეთ სიცოცხლის ჰიმნი!.. სიცოცხლის ჰიმნი!..

(მძლავრი სიმღერა და როკვა აპოთეოსს აღწევს)

სოკრატე. (ყვირილით) ქსანტიპა, შენ მართალი ხარ, — ჩემი ფიქრები კაცის ძალას აღემატება! (ძელსკამზე დაჯდება გაოგნებული) დედაკაცო, რამდენი სიბრძნე შემოგინახავს, იქნებ სჯობდა შენი შეგირდი ვყოფილიყავი.

(ბაკქანალებმა მოედანი დატოვეს, სალამურების ხმა ისმის მხოლოდ. სოკრატეს მუხლებზე ბრისეიდა წამოწვება, ჩადრს მოიშორებს).

ბრისეიდა. სოკრატე, ბიჭო...

სოკრატე. სხეული დამალე.

ბრისეიდა. აბა!.. ჭკუის დარიგება არაფრად გარგებს, არ იფიქრო შენთვის მოვედი ან კაცის სიკვდილი გულს ამიყუჩებს. ბრძოლის ველზე, ჩემი სამშობლოს წაგებულ ომში, გამარჯვებულმა სარდალმა ხორა-ხორა მკვდარ-ცოცხლებში ამომარჩია, ქორის თვალი აქვს, წიწილასავით ამიტაცა იმ ბაიყუშმა, სულ მაღლა. ბარბაროსა ვარ! ჰა, მთელი საიდუმლო. (პირბადე მოიხსნა) ახლა სამაგიერო გადამიხადე, უკვდავმყავი. ამ გადმობრუნებულ დრუნჩზე გატყობ, მამაკაცი ხარ.

სოკრატე. სხეული დამალე.

ბრისეიდა. ქოჩორა ბიჭო...

სოკრატე. ქმარს პატივი დადე.

ბრისეიდა. ბაიყუში-მეთქი.

სოკრატე. მერე?

ბრისეიდა. რა-მერე, ვითომ ვერ ხვდები, ატიკაში ყველაზე ლამაზო კაცო...

სოკრატე. კაი თუ ღმერთი გწამს...

ბრისეიდა. ყველა ღმერთს ვფიცავ, მამაკაცის სილამაზე — სიბრძნეა. (ბრჭყვიალა ქისა დააგდო ფეხთან) შიგ ოქროს საში ტალანტი დევს, სიმდიდრეა; ფულსაც რომ გაძლევ.

სოკრატე. სამი ტალანტი და სამი დრაქმა ჩემთვის სულერთია.

ბრისეიდა. ამ ფულით გზა გახსნილი გაქვს, კიდით-კიდემდე. დილეგში შემიყვანე.

სოკრატე. დილეგში?..

ბრისეიდა. სიამოვნებით უნდა დამთანხმდე, ჩემმა ქმარმა შავი ცერცვი ჩაგიგდო ყუთში, შური იძიე.

სოკრატე. ტალანტები ფეხთან, შენ-ჩემთან, დანარჩენი აკმაროს ღმერთმა.

ბრისეიდა. არა, არ აკმარო, დილეგში, ბიჭო!...

ს ო კ რ ა ტ ე. ბრისეიდა, ვინმე ახალგაზრდა კაცი მოძებნე.

ბ რ ი ს ე ი დ ა. ჭკუის დარიგება არაფრად გარგებს, რამდენჯერ ვთქვა, სოკრატე მინდა — პირველი ბრძენი. შენ, შეიცან ადამიანი, მე შეგიცნობ შენ, ო, მერე როგორ...

ს ო კ რ ა ტ ე. ქსანტიპა რომ შემოგვესწროს?

ბ რ ი ს ე ი დ ა. უბედური ქსანტიპა, რამ შეახვედრა პირველი ბრძენი?

ს ო კ რ ა ტ ე. აბა, შენც შეიტყვე?

ბ რ ი ს ე ი დ ა. მას ბრძენი, მე — ბაიყუში, ჩემი ქმარი ომის ღმერთსა ჰგავს, ნაწილ-ნაწილ თუ არ დაკეცე, ამ დილეგში ვერ ჩაატევ. (დაყვავებით) დილეგში კაცო, ბრისეიდას რატომ მეძახი?

ს ო კ რ ა ტ ე. ყველა ღმერთს ვფიცავ, აქილევსის ბრისეიდა ალბათ, ეს იყო.

ბ რ ი ს ე ი დ ა. უარს როგორღა მიბედავ თუ აქილევსის ბრისეიდა ვარ?

ს ო კ რ ა ტ ე. მე სოკრატე ვარ!..

ბ რ ი ს ე ი დ ა. (ქინით) ატიკის ყველაზე უშნოვ, ჩემს რისკსაც თანაუგრძნე. შენ თუ დაგემსგავსა, ამ ცხვირს, ამ გადმობრუნებულ დრუნჩს, გოგრა თავს და ჭროლა თვალებს ხომ ყველა იცნობს, მთელი ელადა!... მერე გაივლის წლები, საუკუნე, იტყვიან, — სოკრატეს ჰყავდა ბრისეიდა — ბრისეიდას სოკრატე, არ გინდა? მე მინდა, სოკრატე, დრუნჩო, დილეგში ბიჭო...

ს ო კ რ ა ტ ე ვიყვირებ.

ბ რ ი ს ე ი დ ა. სინჯე, იყვირე.

ს ო კ რ ა ტ ე. აბა, რა გიყო?..

ბ რ ი ს ე ი დ ა. ვითომ არ იცი. ჩქარა, სანამ ის პირუტყვები დაბრუნდებიან. შენ გეუბნები, დილეგში მინდა!..

ს ო კ რ ა ტ ე (ენერგიულად) მოწამლული ვარ, ბრისეიდა, მიცვალებულს ესაუბრები.

ბ რ ი ს ე ი დ ა. (შეკრთება) დაიფიცე?

ს ო კ რ ა ტ ე. სიტყვაა ფიცი.

ბ რ ი ს ე ი დ ა. ტყუილს არ იტყვი. უკანასკნელი დღე მეგონა სანდო.

ს ო კ რ ა ტ ე. ქისა წაიღე!

ბ რ ი ს ე ი დ ა. მიცვალებულსაც სჭირდება ფული, მოიხმარე. (ჩადრში ჩაიმალება).

ს ო კ რ ა ტ ე. ნუ დამამცირებ!..

(სიბნელიდან მსახური ქალი ქისას დაწვდა, ბრისეიდას აედევნება. ქალთა გუნდი სალამურების მსუბუქ მოტივზე დილეგს ნარნარით შემოუვლის. თითქოს ცამ დაიქუხაო, კვლავ ბაკქანელები შემოცვივიან, როკვით, ნაცნობი სიმღერით დილეგს შემოუვლიან. ბანგმორეული ბრბო სოკრატეს აქ ყოფნასაც კი ველარ შეამჩნევს, ქალთა გუნდიც სიბნელემ შთანთქა, სალამურების ხმებიც მიწყდება. საზეიმო ფერები გაქრება. სულ სხვა ფიქრშია სოკრატე. შვილების წინა ეპიზოდი დაუდგება თვალწინ).

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. ჯიბე მოიჩხრიკე, არც ერთი გროში არ გვაბადია.

ს ო კ რ ა ტ ე. (მწუხარე სახით) ქსანტიპა, შენ ხომ იცი, რომ მე ჯიბე არა მაქვს.

ქ ს ა ნ ტ ი პ ა. (ჩამცხრალი ტონით) ეს რა უბედურება დაზვავ და ჩვენს თავს...

(დედა და შვილები სიბნელეში გაუჩინარდებიან)

ს ო კ რ ა ტ ე. სოფრონისკე, ჩემო პატარა, პაპაშენის სეხნია-ბიჭო, მამა გინდა, ბალღო, ოღონდ კი მამა-.. ოო, თქვენი მოფერებაც რომ ვერ გავბედე, ჩემო შვილებო...

(დილეგის კედელზე მიყრდნობილს მხრები უცახცახებს)

გამოჩნდება სიმონ ცინიკოსი და ალფა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. სტირი?

ს ო კ რ ა ტ ე. არა, ვიცინი!.. (ხმამაღალ სიცილს მორთავს, საბაბსაც პოულობს) სიმონ ცინიკოსო, ვერცხლის ზარნიშიანი სპილენძის კლიტე, მწვანე ბაფთაზე ასხმული, ამოგარწყიეს?

(სიმონ ცინიკოსს გასაღები ბაფთით კისერზე აქვს ჩამოკიდებული)

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ო, სოკრატე, სოკრატე! ძლივს არ გადავრჩი.

ს ო კ რ ა ტ ე. ვერცხლით გატენილი სავსე ტოპრაკი გიჭირავს ხელში?.. ნებით გიჭირავს?

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. იმ ერთი პირობით, რომ უკან არ მოიხედავ, შორს წახვალ — ფაზისის ნაპირებამდე, იქაც ბლომად არიან ჩვენი ვაჭრები.

ს ო კ რ ა ტ ე. ვაჭრებთან რა მესაქმება?

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. აბა, ფილოსოფიას რა ჭირად ვიხლი, არ წამოგცდეს — ფული ვინ მოგცა.

ს ო კ რ ა ტ ე. მთელი ტოპრაკი.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. (ვერცხლით სავსე ტოპრაკს სოკრატეს ფეხებთან დადებს) ბრიყვი ვარ, ბრიყვი, უმეცარი, სწორედ ისეთი, როგორც შენ ამბობ. აზრის სიკვდილი რამ მოგვაფიქრა, სახადს — შავ ჭირს შუბი ვესროლეთ, უმეცრებაა! არეოპაგის თავმჯდომარედ უნდა აგვერჩია, ოლიმპიადის მთავარ მსაჯად ან მთავარსარდლად!

ამ გზით შეიძლებოდა შენი მოძღვრების გაბითურება. კაი თანამდებობა და უფასო სადილი მაგ გოგრა-თავში აზრებს სულ ყირამალა დაგიყენებდა, შენი მეგობრები აღზევებულს — ზურგს შეგაქცევდნენ. ამ ჩვენს ბრიყვებში ერთი სახელმწიფო თავი არა ჩანს. (სხვა ტონით) რაღას უცდი, რას დამუნჯდი, რად არ გარბიხარ? — უცხოეთში სიცოცხლეს სამშობლოში სიკვდილი მირჩევნიაო, — ეს აღარ მითხრა. აჰა ტოპრაკი, წადი, ფაზისის ნაპირებზე წერე და წერე!..

ს ო კ რ ა ტ ე. სიმონ ცინიკოსო, არასდროს არაფერი დამიწერია, სად მეცალა წიგნის საწერად, არც მელანი მაქვს, არც პერგამენტი. მთელი სიცოცხლე თქვენს ჩქმეტაში შემომელია — გჩქმეტდით, გკბენდით როგორც კრაზანა. მცონარე — ლოხი წიგნს არ ჩახედავს, თუ გადახედა — დაწვავდა კიდეც. სიტყვის ძალამ გამოგაფხიზლათ, მეხის გავარდნას აჯობა სიტყვამ.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. ჰოდა, იმ შენი სიტყვის მსხვერპლი ხარ.

ს ო კ რ ა ტ ე. ჭეშმარიტებაც ამით დადგინდა, სიტყვაა ღმერთი! უმეცრების ნიღაბი გაგლიჯა სიტყვამ. (ჩამცხრალი ტონით) სხვები დასწერენ იმასაც, რაც მე არ მითქვამს, ფილოსოფიაში გვარტომურ შთამომავლობას ფეხშიშველამ მოვუღე ბოლო, პოლიტიკის გარეშე — სიბრძნე პოლიტიკურ საქმედ ვაქციე, ამასაც ზედ მიაწერენ.

(პირი მოიწმინდა კალთით)

მოედანი გამითავისუფლეთ! ქალარა კაცის სიყვარულზე იმღერეთ რამე.

ს ი მ ო ნ ც ი ნ ი კ ო ს ი. თითქოს ნადიმზე გეპატიჟებიან!..

ს ო კ რ ა ტ ე. ნადიმია!... ჩუ, სადღაც მღერიან.

ა ლ ფ ა. დრო იწურება!..

ს ო კ რ ა ტ ე. სანთელივით მადნება ხელში.

ა ლ ფ ა. მალე „თერთმეტთა კოლეგიის“ მოხელე მოვა.

ს ო კ რ ა ტ ე. დავამტკიცებ, რომ ბოლომდე დავიცავი ყველა კანონი.

ალფა. სიკვდილით?!

სოკრატე. უკანონობას უნდა შეეწირო, რომ სამართალი დამყარდეს ქვეყნად.

სიმონ ცინიკოსი. მასხრად ნუ გვიგდებ!..

სოკრატე. შენ პატივმოყვარეობა გაწუხებს, სიმონ ცინიკო, მე — მოვალეობა.

სიმონ ცინიკოსი. პატივმოყვარეობას მაშინ მივაფურთხე, როცა ეს ბიჭი შეგირდად დაგისვი, არც ისე ბრიყვი ვარ, როგორც შენ ფიქრობ, გინდა უკანონობას შეეწირო! ოო, რა მრისხანე ბრძენი ყოფილხარ, კაცო, კარგად გცოდნია — უსამართლობის აპოთეოსი შეწირვაა!.. ვინ იფიქრებდა, კაცი კი არა, რკინა ყოფილხარ.

სოკრატე. იმღერეთ რამე... თუმცა, ჭაბუკი ალფა სულ სხვა ხმაზეა, მე ერთი, გიმღერებთ ყველას.

„საფეთქლები შეიფეთქა ჭადარით,
თვალებსაც კი აზის დროის ბეჭედი,
სიყმაწვილის წლებო, ვაგლახ, სადა ხარ,
რადა დარჩა შეუსმელი ნეტავი...“

ალფა. დრო იწურება.

სოკრატე. ვწუხვარ, რომ იწურება, ეზოპეს გალექსვა ვერ მოვასწარი.

ალფა. ფეხშიშველა მოხუცო, ძონძებში გახვეული კაცო, გონიერების ღვთაება და სათნოება ყველას გვეკუთვნის, ყველას, ვისაც მომავალი ეძახის. გემუდარებით, შენი მეგობრებიც მზად არიან, იქ, კედელს გადაღმა, გელოდებიან, წავიდეთ, იჩქარეთ. დიდებულო კაცო, ნუღარ აყოვნებთ.

სოკრატე. კარგო ბიჭებო, ლამის არის აღთქმაზე ხელი ავიღო, სად მივდივართ მაინც ვიცოდე?

ალფა. სიკვდილს გავექცეთ!..

სოკრატე. იქნებ ასე სჯობია, რას იტყვი, სიმონ ცინიკოსო?

სიმონ ცინიკოსი. სიკვდილს რომ სიცოცხლე სჯობს შენც კარგად იცი, ყველამ იცის, უმეცარმა, ბრიყვმა. ბრძენმა და ძაღლმა.

სოკრატე. მრცხვენია, ხალხო, სირცხვილით ვიწვი, უკანონობას როგორ გავექცე?!..

სიმონ ცინიკოსი. აბა, ჰე!

სოკრატე. (ორაზროვნად) ჰო, შენთან მოვდივარ, კაცო, სიცოცხლე!..

(დილეგის ჩაბნელებულ კარს შუქი მოემატა, იქედან შეშფოთებული ზედამხედველი გამოვარდება ცარიელი ფიალით ხელში)

ზედამხედველი. ოო, ეს რა გიქნია, ბრძენო კაცო, მზის ჩასვლამდე ნახევარი დღის სიცოცხლე რად შეიმოკლე, რისთვის იჩქარე? (სხვებს) ბოლო წვეთამდე დაუცლია სავსე ფიალა!.. როდის მოასწრო?!..

სოკრატე. არც მწარეა, არცა მლაშე!.. ჩუმად იყავი, დღეს ზეიმია!

ალფა. სოკრატე!..

ზედამხედველი. ფეხებში სიცივეს თუ გრძნობ?

სოკრატე. ახლა გულთან ვგრძნობ, დრო ხელში მადნება, (ალფას) მადლი ღმერთს რომ გვიან დავთანხმდი. მოედანი გაასუფთავეთ...

სიმონ ცინიკოსი. (ვერცხლიან ტოპრაკს აიტაცებს) არ გერჩია სახლში სიკვდილი?

სოკრატე. ჩემს სახლშიც ორივე ფეხი მიწაზე მედგა, აქაც მიწაა! იმიტომ კი არ შევსვი, რომ მოიწყინოთ, ა, სიმონ ცინიკოსო, თეთრ ცერცვზე ფიქრობდი, ხელებმა შავი ცერცვი ჩააგდეს ყუთში. (ღიმილით) საცოდავო ცინიკოსო, დიდი ტანჯვა გადაიტანე — ლამფის ზეთმა გიშველა. ძაღლო — ღმერთთან გარბოდი. ხომ დაინახე, ჩვენი კუჭისა ჩვენ უკეთ ვიცით. ღვთისგან საბუთი მომთხოვე კაცო, ღმერთები როდი სწერენ, სად სცალიათ. რომ ეცალოს კიდევაც, საბუთს არ გასცემს, (შინაური კილოთი) ცოდნის ნადიმზე მივდივარ, კაცნო, აქედან შორს..

სიმონ ცინიკოსი. (სიფრთხილით) ერთხელ მაინც, შენი ჭროლა თვალებიდან გამომახედა — ნეტა რას ხედავ, მასხრად რომ აიგდე ყოველი კაცი, დარაჯებმა ვერ გამოგიყენეს — რაღაც გროში რგებოდათ მშივრებს. ვერც ჰელეასტებმა, რომ განაჩენს გაქცეოდი, ვერცა ცოლ-შვილმა, საკუთარ თავსაც არ გამოადგა, სიკვდილს დაასწრო!.. ახლა, თავის დასაცავად ერთი სიტყვა, ერთი შენდობა წამოგცდეს მაინც.

სოკრატე. (მთელი ხმით) მკვდრები ბადებენ ცოცხლებს!.. (დილეგში შედის)

სიმონ ცინიკოსი. მკვდრები ბადებენ ცოცხლებსო!.. აბა მითხარით, გაიგეთ რამე?

ზედამხედველი. გონიერება უკვდავიაო, შე იდიოტო.

სიმონ ცინიკოსი. იქნებ ცოდნაო?

ზედამხედველი. სათნოებაცო!..

(დილეგში მიიმალება)

სიმონ ცინიკოსი. იდიოტოო! კიი. მართლა იდიოტმა, სიკოფანტმა, ძველმა ჯაშუშმა თავი შეიცნო.

ალფა. (მოთმინებით) შეწყვიტე, წადი!... (დილეგში შედის)

სცენაზეა სიმონ ცინიკოსი

სიმონ ცინიკოსი. რაღაც დამთავრდა, ჩაჩუმდა, ჩაკვდა, ბაიბურიც კი აღარ ისმის. ო, რა იოლად მიაფურთხა აქაურობას, კაცმა სიკვდილი მასხრად აიგდო, — მკვდრები ცოცხლებსო! სატუსაღოს ბნელ დილეგში საზეიმო ნაბიჯით შეუძლვა ჯალათს — მომავალში მოსვლას აპირებს, მამაო ზევსო, შენ დაგვიფარე, უსამართლოდ გარდაცვლილს ნუ იზამ ღმერთად!.. (დილეგში სხივი მატულობს, გარემოსაც იგი ანათებს) მოკვდა კაცი და დაიბადა ახალი აზრი.

შეიცან თავი! ამიერიდან, ნაღდად იცოცხლებ! მოვუსვა სახლში...

(ტოპრაკს მიათრევს ორივე ხელით, სიბნელეში მიიმალება).

დასასრული